ვკითხულობ ბევრს, „ვერსიას" ერთი

ვერსია

№22 (1564) 30 ივნისი — 6 ივლისი ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ვატო ყიფიანის საქმის უცნობი დეტალები

რა ჩვენება მისცა უკრაინის მოქალაქემ და რატომ გაუკვირდა „კრიმინალურ ავტორიტეტს" დაკავება

გიორგი გახარიამ ეკა ბესელიას თანამშრომლობაზე უარი უთხრა?

„ვისი ვიოლინო ვის როიალშია" ანუ ქართველი ბელადების ამერიკული ვიზიტების ანატომია

ერთიანდება თუ არა გია კორკოტაშვილის „ქართული მისია" ლევან ვასაძესთან



მაია მიშელაძე
593-51-90-12

გაძვირდება თუ არა 1-ელი ივლისიდან დენი

რომელი რაიონების მოსახლეობას მოუწევს გაზის გაზრდილი გადასახადის გადახდა

1-ელი ივლისიდან გაზი ძვირდება. „თბილისი ენერჯის“ შემდეგ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (სემეკი), გაზგამანაწილებელი მცირე კომპანიების ტარიფებიც დააკორექტირა. „ვერსიას“ სემეკ-ში განუცხადეს, რომ კორექტირებული ტარიფი 1-ელი ივლისიდან შევა ძალაში და 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმოქმედებს. პარალელურად, ვრცელდება ინფორმაცია, რომ 1-ელი ივლისიდანვე დენიც გაძვირდება, თუმცა სემეკ-ში ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფენ.

28 ივნისს, სემეკ-ში მორიგი საჯარო სხდომა გაიმართა. კომისიამ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი მცირე კომპანიებისთვის, მათ შორის, შპს „გასკო +“, შპს „ვარკეთილაირი“, სს „ენერგოკავშირი“, გაზის მიწოდებისა და მოხმარების ტარიფების კორექტირებაზე იმსჯელა. როგორც „ვერსიას“ სემეკში განუმარტეს, გაზის ტარიფი მცირე კომპანიებისთვისაც იმავე საფუძვლით დაკორექტირდა, როგორც „თბილისი ენერჯის“ შემთხვევაში. უწყების ინფორმაციით, ეს არის შესყიდვის კომპონენტის ზრდა ლარის კურსიდან გამომდინარე, რის გამოც კომპანიების ზარალი გაიზარდა.

ახლა, ვნახოთ, თბილისის გარდა, კონკრეტულად რომელ აბონენტებს უძვირდება გაზი და საქართველოს რომელ რეგიონში. მაგალითად, შპს „გასკო +“ სენაკში ოპერირებს და 9 000 აბონენტს ემსახურება; „ვარკეთილაირი“ – თბილისში, კერძოდ, ვარკეთილის დასახლებაში, სადაც 16 000-მდე აბონენტს ემსახურება; სს „ენერგოკავშირიც“ თბილისში ოპერირებს, კერძოდ, გლდანისა და მუხიანის რამდენიმე მიკრორაიონს, ჯამში – 12 000-მდე აბონენტს ემსახურება.

სემეკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, შპს „გასკო +“-ის კორექტირებული ტარიფია 53.35 თეთრია 1 კუბურ მეტრზე, რა თქმა უნდა, დღგ-ს ჩათვლით. 1 ივლისამდე მოქმედი ტარიფი 48.301 თეთრია 1 კუბურ მეტრზე.

შპს „ვარკეთილაირის“ კორექტირებული ტარიფია 57.062 თეთრი 1 კუბურ მეტრზე, ხოლო 1 ივლისამდე მოქმედი ტარიფი – 48.677 თეთრი 1 კუბურ მეტრზე.

სს „ენერგოკავშირის“ კორექტირებული ტარიფია 57.794 თეთრი 1 კუბურ მეტრზე, 1 ივლისამდე მოქმედი ტარიფი – 49.443 თეთრი 1 კუბურ მეტრზე.

როგორც „ვერსიას“ უწყებაში განუმარტეს, ბუნებრივი გაზის ტარიფების ცვლილების საფუძველია ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სემეკში შესული კომპანიების მოთხოვნები ტარიფების კორექტირებასთან დაკავშირებით.

უკვე ერთი თვეა, რაც გაზის ტარიფი „თბილისი ენერჯისაც“ დაუკორექტირეს. 1 ივნისიდან, დედაქალაქის მოსახლეობა 8 თეთრით გაძვირებულ ბუნებრივ აირს მოიხმარს. სემეკის გადაწყვეტილებით, 1 კუბური მეტრი გაზის ღირებულება 53.972 თეთრამდე დაკორექტირდა.

„ტარიფის კორექტირება განპირობებულია თბილისის უსაფრთხო და საიმედო გაზმომარაგების უზრუნველყოფით“, – ასე განმარტეს უწყებაში, ერთი თვის წინ მიღებული გადაწყვეტილება.

ბუნებრივი აირის საფასურის გაძვირების მიზეზი ეროვნული ვალუტის კურსის ცვლილებების გამო, ბოლო წელიწადნახევარში დაფიქსირებული ზარალი გახლავთ, რომელიც „თბილისი ენერჯის“ მიადგა. საუბარია 25 მილიონი ლარის ზიანზე, რაც კომპანიას მიადგა. თავის დროზე, „თბილისი ენერჯიში“ განმარტეს, რომ უკვე რამდენიმე თვეა, კომპანია ბუნებრივი აირის შესაძენი ფასის ლარში დაფიქსირებას ითხოვდა, რაც კურსის ცვლილების შემთხვევაში, ტარიფის ცვლილებისგან დაიცავს მოსახლეობას და დედაქალაქის უსაფრთხო გაზმომარაგებასაც რისკქვეშ არ დააყენებს.

„თბილისი ენერჯის“ მოთხოვნით, მიმდინარე წლის 3 იანვარს, ბუნებრივი აირის ფასი 24 თეთრით – 1.1 ლარამდე გაიზარდა კომერციული მომხმარებლებისთვისაც. აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ „თბილისი ენერჯი“ ბუნებრივი აირით დედაქალაქს 2019 წლის 3 მაისიდან ამარაგებს. კომპანია, დაახლოებით, 1 500 000 მოსახლესა და 18 000 კომერციულ აბონენტს ემსახურება.

პარალელურად, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 1 ივლისიდან, გაზის ტარიფის გარდა, დენიც ძვირდება, თუმცა როგორც უკვე აღვნიშნე, ეს ინფორმაცია სემეკში არ დაგვიდასტურეს. მეტიც, უწყებაში ოფიციალურად განგვიმარტეს, რომ 1 ივლისიდან, თბილისსა და რეგიონებში ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა არ იგეგმება! მეტიც, ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი არ იცვლება! სემეკში „ვერსიას“ აუხსნეს, რომ ინფორმაცია დენის გაძვირებასთან დაკავშირებით, ზოგიერთმა პოლიტიკოსმა მიზანმიმართულად გაავრცელა.

„ელექტროენერგიის ტარიფის მატებასთან დაკავშირებით, ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლის მიერ, საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გავრცელებული არასწორი ინფორმაცია წარმოადგენს საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზანმიმართულ მცდელობას. კომისიის ვარაუდია, რომ ტარიფების მატებაზე გავრცელებული დეზინფორმაციის მიზანია, ხელი შეეშალოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის პროცესს. ბოლო დღეებში, სემეკის მხრიდან არაერთხელ გაკეთდა განცხადება, რომ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე, 1 ივლისიდან ასამოქმედებელი სიახლეები ტარიფებს არ უკავშირდება“, – განუცხადეს „ვერსიას“ უწყებაში.

მაშ, ასე: 1 ივნისიდან, თბილისელებს გაზი 8 თეთრით გაგვიძვირდა, 1 ივლისიდან – თბილისის რამდენიმე უბანსა და სენაკის მოსახლეობას ბუნებრივი აირი 7-8 თეთრით გაუძვირდება, მაგრამ რაც შეეხება ელექტროენერგიას, შეგვიძლია, დავმშვიდდეთ – თბილისელებსა და რეგიონის მოსახლეობას დენის ტარიფი არ გაგვიძვირდება!

და კიდევ ერთი, მნიშნელოვანი ინფორმაცია – სემეკი მოუწოდებს ყველა დაინტერესებულ პირს, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისგან!

პარლამენტმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ კანონპროექტი დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მექანიზმის დანერგვას ითვალისწინებს.

ცვლილებების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი განახორციელებს სამართალწარმოების პროცესში მოწმის/დაზარალებულის მხარდაჭერას. გარდა ამისა, კოორდინატორი მოწმეს და დაზარალებულს დაეხმარება საგამოძიებო ორგანებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარებაში, გამოძიების ეტაპზე უზრუნველყოფს მათ სათანადო ინფორმირებას, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, მოწმეს და დაზარალებულს შესთავაზებს სახელმწიფოში არსებულ სერვისებს და დაეხმარება ამ სერვისებში ჩართვის პროცესში.

არსებული პრაქტიკის ანალიზმა ცალსახად აჩვენა, რომ კოორდინატორის სამსახური ძალზე ქმედითი მექანიზმია და უამრავ მოწმესა და დაზარალებულს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა გაუწია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის გაადვილების მიმართულებით.

მნიშვნელოვანია, რომ ცვლილებების თანახმად, გამოძიების ეტაპზე, გამომძიებელს ენიჭება უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმეში ჩართოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რაც ხელს შეუწყობს მათთვის სერვისების ოპერატიულად მიწოდებას.

ცვლილებათა პაკეტით, გაიმიჯნა საქართველოს გენერალური პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს კოორდინატორთა ფუნქციები, რაც სამომავლოდ, რესურსების ეფექტურად გადანაწილებას შეუწყობს ხელს.

გიორგი გახარიამ ეკა ბესელიას თანამშრომლობაზე უარი უთხრა?

ნინო დოლიძე

მუხრანის გენიალური ლექსი ხომ გახსოვთ, აი, ის, სულხან საბა ლუდოვიკო მეთოთხმეტეს რომ შეხვდა? ისიც ხომ გახსოვთ, „ელჩმა ქართლისამ“ იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ისევ ის რომ ჩამოიტანა, რაც ჩაიტანა? ჰოდა, თუ ყველაფერი ეს გახსოვთ და ჩვენს პოლიტიკასაც თვალს გაფაციცებით ადევნებთ, მაშინ აუცილებლად მიხვდებოდით, რომ ქართველი მაღალჩინოსნებისა თუ ოპოზიციონერების დასავლეთში ვიზიტები, უბრალოდ, ვიზიტები იყო და მეტი არაფერი. კერძოდ, „უბრალოდ, ვიზიტი“ იმას ნიშნავს, რომ მელიამ, გახარიამ, სააკაშვილმა თუ სხვებმა, აშშ-სა თუ ევროპის დედაქალაქებში სტუმრობისას „თვალს წყალი დაალევინეს“, თორემ სინამდვილეში, როგორც პოლიტიკის ანალიტიკოსები ამბობენ, ეს ვოიაჟები შედეგს არც კონკრეტული ბელადებისთვის მოიტანს და, მით უმეტეს, არც – საქართველოსთვის.



„ვისი ვიოლინო ვის როიალშია“ ანუ ქართველი ბელადების ამერიკული ვიზიტების ანატომია

ერთი სიტყვით, ისეთი პირი უჩანს, რომ ჩვენებური პოლიტიკოსების მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობას კი არა, არამედ, დასავლელ პარტნიორებსაც აღარ სჯერათ. ამის შესახებ, რასაკვირველია, თავად პოლიტლიდერებმაც იციან, მაგრამ როგორც იტყვიან, იხტიბარს არ იტეხენ და „რაღაცას ფაფხურობენ“. არადა, თუ რეალურად დავაკვირდებით, სულ ორი-სამი ადამიანია ქართულ პოლიტიკაში ისეთი, ვისზეც იგივე სტრატეგიულმა პარტნიორებმა, შესაძლოა, „სტავკა“ გააკეთონ. ალბათ, სწორედ ამით აიხსნება, ბოლო დროს, ლამის ერთმანეთის მიყოლებით, ევროპა-აშშ-ს კობახიძე, „ლელოს“ ლიდერშიფი, მელია და გახარია რომ ეწვივნენ.

ისე, ყურადსაღებია, რომ იგივე კობახიძის ვიზიტის შემდეგ, ამერიკელებმა მმართველი გუნდის მიმართ ტონი შეარბილეს. ყოველ შემთხვევაში, ბოლოდროინდელი განცხადებებით, სენატორები უფრო ოპოზიციას „ერჩიან“. კერძოდ, ნაციონალურ მოძრაობას მოუწოდებენ, რომ ე.წ. შარლ მიშელის შეთანხმებას ხელი აუცილებლად მოაწეროს.

ამის დასტურია, თუნდაც ჯინ შაჰინისა და რონ ჯონსონის ერთობლივი განცხადება, რომელიც რამდენიმე დღის წინ გავრცელდა და რომელშიც ვკითხულობთ:

„სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა გაგზავნა ძლიერი, ორპარტიული გზავნილი, რომ ჩვენ ვდგავართ ჩვენი პარტნიორის გვერდით და მხარს ვუჭერთ მის მნიშვნელოვან ძალისხმევას, შექმნას უფრო მეტად პასუხისმგებლიანი, ანგარიშვალდებული მთავრობა და განახორციელოს მისი ტრანსატლანტიკური მიზნები. კომიტეტის მიერ მიღებული რეზოლუცია ადასტურებს შეერთებული შტატების ინტერესს, რომ ყველა პარტია დაიცავს 19 აპრილის შეთანხმებასა და მის სულისკვეთებას, რომ „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და სხვა ყველა დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერონ შეთანხმებას და ყველა პარტიამ კეთილსინდისიერად იმუშაოს, რათა განავითარონ და სრულად განახორციელონ სასამართლო და საარჩევნო რეფორმები, რაც საჭიროა მათი დემოკრატიის განმტკიცებისთვის.

ქართული დემოკრატიის სტაბილურობას ფართო გავლენა აქვს აღმოსავლეთ ევროპაში რეგიონულ უსაფრთხოებაზე, ეს მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატებისთვის, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა რუსეთი საკუთარი მავნე გავლენების გავრცელებაზე მუშაობს“.

აქვე, შეგახსენებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა საქართველოს თაობაზე ახალი რეზოლუცია მიიღო, რომელშიც სენატი მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, 19 აპრილის შეთანბხმების სრულ იმპლემენტაციაზე იმუშაონ. სენატი, ასევე, მოუწოდებს „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ხელი მოაწეროს შარლ მიშელის შეთანხმების დოკუმენტს.

სხვათა შორის, პოლიტიკურ წრეებში არსებობს მოლოდინი, რომ აშშ-დან დაბრუნებული ნიკა მელია, ადრე თუ გვიან, იტყვის, რომ ენმ 19 აპრილის შეთანხმებას ხელს აწერს. ამასთან, ანალიტიკოსები იმასაც ელოდებიან, ენმ-ს ლიდერებმა თქვან, რომ პოზიცია ამ კუთხით მხოლოდ და მხოლოდ დასავლელი პარტნიორების თხოვნისა და პატივისცემის გამო შეიცვალეს.

მოკლედ და კონკრეტულად, ოპოზიცია, უფრო სწორად, ოპოზიციის ნაწილი ცდილობს, დასავლეთთან ურთიერთობა დაალაგოს ანუ უცხოელები საკუთარ სანდოობაში დაარწმუნოს. მიზანი საშუალებას გაამართლებს თუ არა, ამის თქმა, ამ ეტაპზე, რთულია, მით უმეტეს, რომ თითქმის ყველა ოპოზიციონერი ლიდერი, იგივე თეთრ სახლსა, თუ ევროპის პოლიტიკურ დედაქალაქებს ხელისუფლებაშიც ჰყავთ გამოცდილი.

ავიღოთ, მაგალითად, ენმ, უფრო სწორად, მიხეილ სააკაშვილი, რომელიც, სხვათა შორის, ამჯერად აშშ-ში სწორედ მაშინ ჩავიდა, როცა იქ გახარიაც იმყოფებოდა და მელიაც.

ორივე ოპოზიციური ფრთის ლიდერები აცხადებენ, აშშ-ში ჩვენი ვიზიტები ერთმანეთს შემთხვევით დაემთხვა და ერთ სასტუმროშიც შემთხვევით აღმოვჩნდითო. ამ თემაზე მესამე პრეზიდენტმა, ესე იგი, მიხეილ სააკაშვილმა კი „ტვ პირველის“ ეთერში, ცოტა არ იყოს და, არაეთიკურად იხუმრა. კერძოდ, სააკაშვილმა თქვა:

„ერთ სასტუმროში კი არა, ერთ საწოლში გვეძინა ჩახუტებულებს და ძალიან დიდი სიამოვნება მივიღეთ. აი, რა კომენტარი უნდა გავაკეთო ამაზე?!“

სააკაშვილის არაეთიკური ხუმრობა იქით იყოს და ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა გახარიას და, საერთოდ, ქართველი პოლიტიკოსების ამერიკულ ვიზიტებზე საუბრისას, საინტერესო ვერსიას ანვითარებს.

„თუ ვაშინგტონიდან მიღებულ მწირ ინფორმაციას დავეყრდნობით, გიორგი გახარიას უფრო მაღალი რანგის შეხვედრები ჰქონდა, ვიდრე – „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ლელოს“ წარმომადგენლებს.

პრინციპში, არც ამ შეხვედრების შინაარსის შესახებ გვაქვს რამე სათქმელი, რადგან ვაშინგტონის ქართული პოლიტიკური კვირეულის მთავარ ინტრიგად გახარიასა და მიხეილ სააკაშვილის სავარაუდო შეხვედრის ამბავი იქცა.

არ ვიცი, იფიქრა თუ არა ხელისუფლებამ, როდესაც ამ ამბისგან სენსაციის გაკეთება სცადა, მაგრამ ასეთი ტიპის მდარე ინტრიგები ძალიან დამაზიანებელია მისთვის, რადგან მხოლოდ ხაზს უსვამს „ოცნების“ შინაარსისა და შემოქმედებითობისაგან დაცლილ პოლიტიკას“, – აცხადებს ჯეჯელავა.

მოკლედ, პოლიტიკური ლიდერების ნაწილი მოწყალეებას ქვეყნის გარედან ელის, ნაწილი კი ცდილობს, რომ ვიღაცებს თავი გაახსენოს. ამ მხრივ, დღეს „ცვეტში“ გახარიაა ანუ გარკვეული ადამიანები, რომელთა პოლიტიკურმა მატარებელმაც ჩაიარა, ექსპრემიერთან მისასვლელ გზებს ეძებენ.

„ერთ-ერთი, ვინც გახარიას გუნდში შესვლას ცდილობდა, ეკა ბესელია იყო“, – ეუბნება „ვერსიას“ ადამიანი, რომელიც ქართული პოლიტიკის კულუარებში კარგად კი არა, ძალიან კარგად ერკვევა.

ჩვენივე წყაროს თქმით, მას შემდეგ, რაც გახარიამ სამთავრობო გუნდი დატოვა, ბესელია რამდენჯერმე შეეცადა, რომ მასთან კომუნიკაცია დაემყარებინა, თუმცა ყველა ეს მცდელობა, თურმე, კრახით დასრულდა.

რატომ არ ისურვა გახარიამ ბესელიასთან შეხვედრა? – ამ კითხვაზე „ვერსიის“ წყაროს პასუხი არ აქვს. სამაგიეროდ, ჩვენი წყარო ამბობს, რომ გახარიამ უკვე დაუშვა საბედისწერო შეცდომები.

„ნამდვილად არ ვიცი, ბესელიას თავისი გუნდის კარი რატომ არ გაუღო, მაგრამ მერწმუნეთ, გახარიამ თავის გვერდით რამდენიმე ისეთი ადამიანი დაიყენა, რომელთა გამოჩენა იმათაც გააღიზიანებს, რომლებიც ხელისუფლების მხარდამჭერები ნამდვილად არ არიან“, – ამბობს „ვერსიის“ წყარო.

ჩვენ, ცხადია, დავინტერესდით, თუ ვინ არის ის რამდენიმე ადამიანი, რომლის გვერდით დაყენებითაც, ექსპრემიერის იმიჯი, რბილად რომ ვთქვათ, დაზიანდება, თუმცა ინკოგნიტო კონფიდენტმა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ ისურვა.

„ჯერჯერობით, „კარტებს“ არ გავხსნი, თუმცა მოვა დრო და ყველაფერს ხმამაღლა ვიტყვი“, – ამბობს ჩვენი ინფორმატორი.

რას იტყვის ინფორმატორი? – ამის შესახებ, ცხადია, არ ვიცით. სამაგიეროდ, ზუსტად მხოლოდ ჩვენ, „ვერსიის“ გუნდმა კი არა, ალბათ, თქვენც იცით, უფრო სწორად ხვდებით, რომ ქვეყანაში სერიოზული აბრაკადაბრაა. ჰოდა, ამ აბრაკადაბრას შემყურეს, პირადად მე, ერთი ძველი, ჩვენი სიყმაწვილის ჰიტი მახსენდება, რომელსაც თუ არ ვცდები, მარიკა თხელიძე და სოსო თოლორაია ასრულებდნენ – „ქვეყანა აირია, აირია, აირია...“

ჰო, მაშინ, შორეულ და ბნელ 90-იან წლებში, „ქვეყნის არევა“ არავის გვიკვირდა, რადგან მაშინ ყველაფერი თავდაყირა იდგა და 2003 წლის ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ცოტა დალაგება რომ დაიწყო – დენისა და გაზის გრაფიკი აღარ იყო, აი, ეს გვიკვირდა. ახლა კი, სხვა რაღაცები გვიკვირს.

ისე, ის, ქართულ პოლიტიკაში აჯაბსანდალი რომაა, გასაკვირი ნამდვილად არ უნდა იყოს, რადგან 30 წელია, ერთ წრეზე ვტრიალებთ ანუ როგორც ცხონებული ჯანსულ ჩარკვიანი იტყოდა, ვერავინ გაიგებს, ვისი ვიოლინო ვის როიალშია.

ერთიანდება თუ არა გია კორკოტაშვილის „ქართული მისია“ ლევან ვასაძესთან

„თუ ღრენა დაიწყეს და კბილების კაწკაწი, მერე დააბრალონ თავიანთ თავს!“

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ვრცელდება ინფორმაცია, რომ გია კორკოტაშვილი პოლიტიკაში აქტიურად ერთვება, რასაც „კორკოტა“ „ვერსიასთან“ საუბრისას ადასტურებს:

– პოლიტიკაში არ ვმონაწილეობდი, მაგრამ პოლიტიკის გარეთ არასდროს ვყოფილვარ.

– კი, მაგრამ ახლა უფრო აქტიურდებით, არა?

– ჟურნალისტებს გაინტერესებთ ხმამაღალი გამონათქვამები. საზოგადოებრივად ყოველთვის აქტიური ვიყავი და ვეხმაურებოდი იმ თემებს, რაც ჩემთვის მისაღები ან მიუღებელი იყო. საზოგადოების წევრი თუ ხარ, გინდა თუ არა, შენი ქვეყნის ცხოვრებაში მონაწილეობ.

– ბატონო გია, პოლიტიკას აქტიურად ვაშუქებ, მაგრამ ბოლო დროს, აშკარად არ აქტიურობთ...

– აგაშენოს ღმერთმა! ახლა გავააქტიურეთ ჩემი ძველი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა „ქართული მისია“ და გავაქტიურდით. ყველა თავის ბუდეში ჩაჯდა, ყველამ სახელი დაირქვა, არავის ვეტმასნებით და არავის „ვეტენებით“. უბრალოდ, მივხვდი, რომ სჯობს, გავაქტიურდეთ იმიტომ, რომ ამ ცხოვრებაში განზე არ უნდა იდგე იმ პოლიტიკური ბატალიებისგან, რაც შეიძლება, ცხვირწინ მოხდეს, ოქტომბერში.

– ანუ, არჩევნებისთვის ემზადებით?

– საარჩევნო ცხოვრებისთვის ვემზადები, რადგან ვინ მოვა და ვინ წავა, ჩემთვის საინტერესოა. ხომ უნდა ვიცოდე, ვის გვერდით უნდა დავდგე? ჩვენი გუნდი გავაქტიურდებით, რომ ცოცხლები ვართ. შეიძლება, ბოლო „გამოფენებში“ არ მიგვიღია მონაწილეობა, მაგრამ საღ-სალამათები ვართ და მადლობა ღმერთს, ხალხის ისეთი კატეგორია ვართ, რომელიც ადრეც მკაფიოდ იყო ჩარეული პოლიტიკურ ცხოვრებაში. ახლაც ვაპირებთ, ჩვენს ქვეყანას სასიკეთო „რეზულტატი“ მოვუტანოთ.

– ლევან ვასაძის გვერდით დგახართ?

– არა. ლევანთან ვმეგობრობ, მომწონს მისი ქართველობა, მაგრამ პოლიტიკურად არ ვარ მის გვერდით. შეიძლება, რაღაც „ქოლგის“ ქვეშ, იდეა იყოს გაერთიანებული და იქ დავდგე... პოლიტიკურად არ ვართ ერთ პლატფორმაზე. რაღაცებზე მე და მას განსხვავებული აზრი გვაქვს, მაგრამ ძირითადში, აბსოლუტურად ერთნი ვართ – ლევანს უნდა, რომ კარგი საქართველო იყოს, მამა-პაპის ფუნდამენტზე გაზრდილი და მეც ზუსტად იგივენაირად ვფიქრობ.

– „ქოლგის ქვეშ გაერთიანებაში“ იმას გულისხმობთ, რომ არჩევნებისთვის, შესაძლოა, ვასაძესთან ერთად, კოალიცია შექმნათ?

– არა. იდეის ქვეშ შეიძლება, გავერთიანდეთ.

– გასაგებია, მაგრამ პოლიტიკაში ყველაფერს თავის სახელი აქვს.... საარჩევნოდ რომ გახდეს საჭირო, ვასაძესთან ერთად დადგებით?

– არა, ჯერ არც გვიფიქრია ამაზე.

– ბატონო გია, თბილისის მერობისთვის ხომ არ აპირებთ ბრძოლას?

– არა, ჩემო კარგო, თბილისის მერობას ძალიან დიდი ძალისხმევა უნდა... არიან ადამიანები, რომლებიც ჩემზე მეტად გაცნობიერებულნი არიან პოლიტიკურ ცხოვრებაში და შესაძლებლობებიც მეტი აქვთ, უფრო მოუფრთხილდებიან და მეტს გაუკეთებენ ჩემს ქალაქს.

– ლევან ვასაძემ რომ მიიღოს მერის არჩევნებში მონაწილეობა, მხარს დაუჭერთ?

– არ ვიცი. ლევანი რას გადაწყვეტს, არ ვიცი. დღეს ყველაზე ნაყოფიერად, შეიძლება, რამდენიმე კანდიდატი მიმაჩნდეს და რა, როგორ იქნება, ამაზეა დამოკიდებული, ვისთან დავდგები.

– ვინ არის თქვენი ფავორიტი, გამიმხელთ, ბატონო გია?

– არა, ვერ გაგიმხელთ იმიტომ, რომ ამით გავყიდი ჩემს მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებას...

– კეთილი. საარჩევნო კამპანია იწყება და საინტერესოა, როგორ აფასებთ საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს. მაგალითად, იმას, რომ პარტიებმა რამდენიმეთვიანი ბოიკოტის შემდეგ, პარლამენტში შესვლა გადაწყვიტეს?

– ჩემო ძვირფასო ადამიანო, ყველაფერი ეს არის პოლიტიკური თამაშები, რაზეც ადრე ვგიჟდებოდი, გული მისკდებოდა, როგორ შეიძლება, ასეთი რამ ხდებოდეს-მეთქი. ამ პარტიებს ერთმანეთი აწყობთ, როგორ აკენწლავენ ერთმანეთს, ამას მნიშვნელობა არ აქვს... არის ასეთი ცნება კონსტანტა – მუდმივობა და ამათ უნდათ, რომ მუდმივად დარჩეს ორი პარტია... ხან ერთი შემოიერთებს პატარ-პატარა პარტიებს, რომ გაძლიერდეს და ჩაუდგეს სათავეში ქვეყანას, ხან მეორე აკეთებს ამას. მშვენივრად კვებავენ ერთმანეთს, გინებიდან დაწყებული... გინებით ერთმანეთის რეიტინგს არეგულირებენ და სულ, მუდამ იქნებიან ესენი. მაგათი მომკითხავი, კაციშვილი არ არის, ხრავენ ამ ბიუჯეტს და არიან! ამას არაფერი უშველის, თუ არ გაიღვიძა ქართველმა ხალხმა. საკუთარ შვილებს 33 მილიარდ ვალს რომ უტოვებენ, ეს ახალგაზრდები, მართლა მარტო „ანაშით“ არიან დაბოლილები?! ვერ გავიგე, რა! არ ფიქრობენ, რომ ეს ფული მათი გადასახდელი იქნება?! რა მოსწონთ ამ პარტიებში, ვერ ვხვდები. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, არიქა, მოდით და მე მომეცით ხმა-მეთქი. თქვენ თვითონ გააკეთეთ ისეთი რამ, რაც თქვენსავე მომავალს წაადგება, შვილებო, უმცროსო მეგობრებო! ეროვნული, პატრიოტული აღარაფერია დარჩენილი, გადაჩეხილია ყველაფერი ამ ქვეყანაში!

– თქვენი პარტია ეცდება, ეროვნულ-პატრიოტული ნიშა დაიკავოს?

– დიახ, ჩემი პარტიის წევრები იქნებიან ის ღირსეული ადამიანები, რომლებიც დღეს ჩუმად არიან და ამ უღირს პარტიებში ადგილი ვერ მონახეს. ხედავენ, რომ თითქმის ყველა პარტია არის სიფლიდეზე, თითლიბაზობაზე, ერთმანეთის ლოკვაზე, ოღონდ ფული იშოვონ და მუცლები ამოიყორონ და ყველაფერს კადრულობენ!

– 5 ივლისს, „ღირსების მარში“ უნდა გაიმართოს. აქციის ჩაშლას ხომ არ აპირებთ?

– ჩემი გუნდი არის იმ აზრზე, რომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავისუფალი ცხოვრება, მაგრამ ეს არ უნდა გასცდეს იმ ჩარჩოებს, რასაც ჰქვია რეკლამირება და ისეთი რამის გაკეთება, რაც შეიძლება, მიუღებელი იყოს საზოგადოებისთვის. დღეს, ღვთის წყალობით, საქართველოში უმეტესი ნაწილისთვის, ლგბტ საზოგადოების ცხოვრება მიუღებელია, გამოდიან და ამბობენ, რომ არ შეიძლება ამის პროპაგანდა. თქვენ როგორც გინდათ, ისე იცხოვრეთ, რაც გინდათ, ის აკეთეთ, ჩვენთვის ამორალური და მიუღებელია ეს თემატიკა, მაგრამ სახლში არ გივარდებით... ქუჩაში რომ გამოდიხარ, შე კაი დედმამიშვილო და ზეიმს რომ აწყობ, წინააღმდეგი ვარ! კი არ გჩაგრავ, გიკრძალავ, რომ შენი საქციელი პროპაგანდა არ იყოს მომავალი თაობისთვის.

– როგორ აპირებთ ხელშეშლას, ბატონო გია?

– ისინი ხომ ზეიმობენ რაღაცას, არა? ზუსტად ასევე შემიძლია, გამოვიყვანო ადამიანების საკმაოდ დიდი რაოდენობა და ვუთხრა პროპაგანდას – არა! ლგბტ თემის წარმომადგენლები გაერთეთ და ისე ბინძურად და ჩემთვის ამორალურად იცხოვრეთ თქვენს შემოფარგლულ ტერიტორიებზე და ქუჩაში პროპაგანდას ნუ ეწევით, აღლუმის სახით! თუ ისინი ძალიან გაავდნენ, ღრენა დაიწყეს და კბილების კაწკაწი, არც ნაკლები ბიჭები არიან აქეთ, რომელთაც არ მოსწონთ ეს ცხოვრება და მერე თვითონვე დააბრალონ თავიანთ თავებს! თუ აგრესიით წამოვიდნენ, კბილი – კბილის წილ დახვდებათ, ზუსტად!

თათია გოჩაძე
598-43-50-34

ანა ნაცვლიშვილი: „ძალიან მეშინია!“

როგორ აპირებს პედოფილიასთან ბრძოლას და რატომ არ დაუჭირა საარჩევნო ცვლილებებს მხარი – ინტერვიუ „ლელოს“ დეპუტატთან

„სათქმელი არ მაქვს! მოქმედების დროა! ჩემი მანდატის ყველა შესაძლებლობას, ყველა ტრიბუნას, ყველა მიკროფონს, ყველა ბერკეტს გამოვიყენებ, რომ ამ ქვეყანაში ბავშვები იყვნენ დაცულნი – წინ უზარმაზარი სამუშაოა! ვიცი, არ ვარ მარტო“, – აცხადებს დეპუტატი, „ლელოს“ ერთ-ერთი ლიდერი, ანა ნაცვლიშვილი სამეგრელოში მომხდარ პედოფილიის საზარელ ფაქტზე საუბრისას. ნაცვლიშვილის ეს განცხადება დამაიმედებელია, მით უმეტეს მაშინ, როცა მომხდარზე განცხადება პარლამენტის ბავშვთა უფლებების დაცვის საბჭოს ერთ წევრსაც არ გაუკეთებია. „ვერსია“ ანა ნაცვლიშვილს ესაუბრა:

– სახელმწიფოს სჭირდება მკაფიო სამოქმედო გეგმა და ხედვა, თუ როგორ ებრძვის ბავშვთა მიმართ ძალადობას, რომელიც საკმაოდ გავრცელებულია ჩვენს ქვეყანაში და სულ უფრო მეტი ინფორმაცია ჟონავს ამის შესახებ. არსებობს კითხვა – მოიმატა ამ ტიპის დანაშაულმა თუ, უბრალოდ, გამომჟღავნდა? დარწმუნებული ვარ, რომ გამომჟღავნდა. ყოველთვის იყო ასეთი მძიმე დანაშაულები, მაგრამ ახლა იმიტომ, რომ ამაზე დაიწყეს მუშაობა სხვადასხვა ჯგუფმა, მსხვერპლები და საზოგადოება მიხვდა, რომ კი არ უნდა დავმალოთ, არამედ, ამას უნდა ვებრძოლოთ. სახელმწიფოს სჭირდება კონკრეტული ხედვა და ვცდილობ, ამ საკითხში ფუნდამენტურად გავერკვე. ჩემი მიზანია, დავინახო პრობლემის ანატომია, სახელმწიფოს სისტემა სადაც არაა მზად, რომ შეეჭიდოს ამ პრობლემას, სწორედ იმ საკითხზე დავიწყო მუშაობა სხვებთან ერთად. აუცილებელია, საზოგადოებრივი ჯგუფების, ექსპერტების, ფსიქოლოგების ინტერდისციპლინური ჩართვა. ჩემი მიზანია, ამ თემას, კარგი გაგებით, მივცეთ პოლიტიკური შინაარსი, რადგან ნინოწმინდის პანსიონის ამბავზეც მიჩნდება განცდა, რომ ხშირად პოლიტიკოსები სრულიად უსაგნო, უშინაარსო საკითხებზე კამათში კარგავენ დროს და სადღაც აქვე, ჩვენს გვერდით არის უზარმაზარი პრობლემები, რომელთა აქტუალიზებაც არ ხდება და პოლიტიკური სივრცე არის ყრუ, ბრმა და დახშული ამ ტიპის საკითხების მიმართ. ნინოწმინდის საქმესაც ასე ვუდგები, ვსწავლობ სისტემურად, სად არ იმუშავა სახელმწიფომ იმიტომ კი არა, რომ ვინმე ციხეში გავუშვათ, არამედ იმიტომ, რომ სხვა დროს ასეთი რამ აღარ დაგვემართოს. კანონში ისეთი ლაფსუსებია, რომ ოდესმე, ვინმეს ეს კანონი რომ გაეხსნა პოლიტიკურ სივრცეში, შეიძლება, ასეთ მძიმე სიტუაციამდე არ მოვსულიყავით. ასე რომ, ახლა უნდა დავსვათ სახელმწიფო სისტემის დიაგნოზი, მაგრამ პარალელურად, ვიმუშაოთ ამ თემის აქტუალიზებაზე, რომ ბავშვებსა და მშობლებამდე მივიტანოთ მესიჯი – დამალვა ყოველთვის ხელს აძლევს მოძალადეს და რაც შეიძლება, აქტიურად ვისაუბროთ ამ პრობლემაზე. არის რჩევები და ცოდნა, რომელიც მშობლებსაც გვჭირდება. ყოველთვის ვცდილობ, ჩემს შვილებს ამაზე ფაქიზად და ასაკის შესაბამისად ვესაუბრო, რადგან ძალიან მეშინია და მინდა, ისინი მომზადებულები იყვნენ. ცხადია, ვეცნობი ფსიქოლოგების რეკომენდაციებს, მაგრამ ყველა მშობელს არც ამდენი დრო აქვს და არც – წვდომა ინტერნეტზე. ამიტომ მათ დახმარება სჭირდებათ, მით უმეტეს, რეგიონებშია ამის საჭიროება. საქართველოში მშობლების უდიდესი ნაწილი დილიდან საღამომდე მუშაობს, რომ შვილი მშიერი არ მოუკვდეს და ამიტომ მშობლების მარტო დატოვება ამ პრობლემასთან არაა სამართლიანი. უნდა ვიცოდეთ ამ რთულ და მტკივნეულ თემაზე, მათი ასაკის შესაბამისად, როგორ მივაწოდოთ ინფორმაცია, რომ არც ტრავმა მიიღონ, მაგრამ იყვნენ მომზადებულები ამ ვერაგი დანაშაულის, მინიმუმ, ამოსაცნობად, რომ დროულად მიხვდნენ და თქვან, შველა გვჭირდებაო.

– ქალბატონო ანა, ამ დანაშაულის წინააღმდეგ საბრძოლველად, რამდენად ეფექტურია ბავშვთა კოდექსი, რომელიც პარლამენტმა მიიღო?

– კარგი კითხვაა... ბავშვთა კოდექსი, რომელიც მივიღეთ, მართლაც კარგია, თუმცა პარლამენტს აქვს ასეთი მოვალეობა – გააკონტროლოს, როგორ სრულდება პრაქტიკაში მის მიერ მიღებული კანონი. ჩემი ინფორმაციით, ეს კონტროლი ბავშვთა კოდექსზე არ ჩატარებულა. ჯერ ცოტა დროა გასული, მაგრამ მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, ეს მოხდეს. პარლამენტში, ასევე, არსებობს „ბავშვთა დაცვის უფლებათა საბჭო“, რომელიც ინსტიტუციონალური რგოლია. ნინოწმინდის საკითხსა და ამ ძალადობის ამბებზე, საბჭოს მიერ გაკეთებული ერთი განცხადებაც არ გაგახსენდებათ. ეს ხომ არაა პარტიებს შორის დაპირისპირების თემა? დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ნორმალური ადამიანი წარმოუდგენლად მიიჩნევს ასეთ ძალადობას, მარამ არაფერს აკეთებს. აი, ესაა პრობლემა. უნდა დავინახოთ ის თემები, რომლებზეც დაგვიანება არ შეიძლება. ასე რომ, ჩემთვის მნიშვნელოვანია, ბავშვების თემა გახდეს პოლიტიკური დღის წესრიგის საგანი, რადგან არ მჯერა, რომ სახელმწიფო იქნება სოცოცხლისუნარიანი და მომავალზე ორიენტირებული.

– რა ამის პასუხია და, 28 ივნისს, პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რასაც „ლელომ“ მხარი არ დაუჭირა. რატომ?

– ამ საარჩევნო ცვლილებების მიღება განაპირობა 19 აპრილის შეთანხმებამ, სადაც ჩაიდო კონკრეტული მიმართულებები, რა მხრივაც უნდა შეცვლილიყო კოდექსი. მოქალაქეები და მთელი საპარლამენტო პოლიტიკური სპექტრი ჩართული ვიყავით სამუშაო ფორმატში. პირველი მოსმენის შემდეგ, მხარი დავუჭირეთ ამ ცვლილებებს იმ პირობით, რომ რამდენიმე პრობლემური საკითხი მეორე მოსმენამდე გამოსწორდებოდა, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. ზოგადად, ვენეციის კომისიისის მიმართ უცნაური დამოკიდებულება გვაქვს, თვითონ მიმართავენ, დაგვეხმარეო და შემდეგ აღარ იზიარებენ რეკომენდაციებს. რადგან არ გაითვალისწინეს რეკომენდაციები და რამდენიმე მწვავე საკითხი დარჩა დღის წესრიგში, სამწუხაროდ, დაიჩრდილა ის მიღწეული პროგრესი ამ კოდექსში. ასე რომ, ვინაიდან ვაფასებთ იმ წინგადადგმულ ნაბიჯებს, რომელთა თანამონაწილენიც ვიყავით, წითელ ღილაკს არ დავაჭირეთ ხელი, მაგრამ რადგანაც ხელისუფლება დარჩა ხისტი რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, გამოვიყენეთ თვშეკავების უფლებამოსილება და მხარი არ დავუჭირეთ ამ კოდექსს.

– რა არის ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებსაც არ ეთანხმებით?

– მიშელის შეთანხმებაში იყო რამდენიმე პუნქტი, რომელიც თითქოს კანონში გადმოტანილია, მაგრამ ფორმალურადაა და რეალური ძალა ამ სიახლეებს არ აქვთ. მაგალითაც, ცესკო-ს წევრების შერჩევის წესის საკითხში, ბოლომდე არ იქნა აღმოფხვრილი შესაძლებლობა, რომ პროფესიული წევრების კვოტით გავიდნენ არა ნამდვილად პროფესიონალიზმის ნიშნით შერჩეული ადამიანები, არამედ, პოლიტიკურად ლოალურები, რაც ამ რეფორმის არსს ეწინააღმდეგება. ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ცესკო როგორ დაკომპლექტდება იმიტომ, რომ ცესკო დააკომპლექტებს ოლქს, ოლქი კი – უბანს. ჩვენ, ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ ატარებს არჩევნებს. ეს დარჩა პრობლემურ საკითხად, რადგან ბოლომდე არ ამოიქოლა ის მანიპულაციის სივრცე, რომელიც პოლიტიკურად ლოიალურ კადრებს დაარქმევს პროფესიულ წევრებს. ცხადია, პრაქტიკაში ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ ასე არ მოხდეს, მაგრამ კანონმა ეს კარი ბოლომდე არ ჩაკეტა.

ასევე, პრობლემური საკითხი იყო ცესკო-ში წევრის წარდგენის უფლების მიბმა დაფინანსებაზე, რასაც ჩვენ არ ვეთანხმებოდით. ვამბობდით, რომ დაფინანსებას თავი დავანებოთ და მივაბათ იმას, თუ ვინ რამდენი მანდატი მიიღო ანუ ხალხი ვისაც რამდენ ხმას აძლევს, ეს აისახება მანდატებში და არა დაფინანსებაში იმიტომ, რომ დაფინანსებაში სხვა ფორმულა მუშაობს. ესეც არ იქნა გათვალისწინებული. ამ საკითხსა და ცესკო-ს წევრების დანიშვნაზეც „ვენეციის კომისიაც“ ზუსტად იმავეს ამბობდა, რასაც „ლელო“.

რა თქმა უნდა, იყო პრობლემა კონკრეტული პოლიტიკური ძალის დასჯა იმისთვის, რომ დღემდე ბოიკოტის რეჟიმშია და მათ წევრი არ მიეცათ ცესკო-ში. ზოგადად, საკანონმდებლო უფლებამოსილების გამოყენება ვიღაცის დასასჯელად არის აბსოლუტურად შეუსაბამო სამართლებივ პრინციპთან. შემდეგ იყო 40%-იანი ბარიერისა და მეორე ტურის საკითხი. აქ უნდა დავაკონკრეტო, რომ სამწუხაროდ, გადაწყვეტილი სახით, ეს საკითხი მაგიდაზე ისეთ დროს დადეს, როცა მის ირგვლივ კონსენსუსის შესაძლებლობა, ფაქტობრივად, აღარ არსებობდა. „ლელოს“ ძირითადი წუხილი ამ საკითხზე იყო ის, რომ ფართო ოპოზიციური მხარდაჭერა არ არსებობდა ამ საკითხის ირგვლივ. არადა, მთელი არსი არის ის, რომ საარჩევნო რეფორმამ მოიპოვოს ნდობა ფართო სპექტრში.

ასევე, ჩემთვის და ჩემი თანაპარტიელებისთვის პრობლემური იყო ქალთა კვოტირების თემა, რომელიც სრულიად მალულად „ჩაჩეხეს“. „ოცნებას“ მათემატიკამდე დაჰყავს ეს საკითხი და ითვლის, მაინც ამდენი ქალი იქნებოდაო, რაც არასწორია იმიტომ, რომ იცვლება სისტემა პროპორციულისკენ და ამის სიკეთეები ქალმა და კაცმა კანდიდატებმა თანაბრად უნდა მიიღონ. ამასთან, თვითონ პრინციპია მნიშვნელოვანი – რა გზავნილი აქვს სახელმწიფოს ქალთა კვოტირების შესახებ. თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ამ მოწვევის პარლამენტში, ქალი დეპუტატები, განსაკუთრებით ოპოზიციიდან, ძალიან აქტიურად ვმუშაობთ და ვაყენებთ იმ საკითხებს, რომლებიც მოქალაქეებს რეალურად აწუხებთ. ქალთა კვოტირების არსი ისაა, რომ პარტიებმა დაიწყონ მუშაობა ქალი კანდიდატების მოსაძებნად და რომ დაინახავენ, რთულია ქალების დათანხმება პოლიტიკაში წამოსვლაზე, აღმოაჩენენ იმ ბარიერებს, თუ რატომ არ მიდიან ქალები პოლიტიკაში. შემდეგ კი პარტიები ამ ბარიერებზე მუშაობას დაიწყებენ. თუ არ დააწვებათ მათ წნეხი, რომ ქალი კანდიდატები იპოვონ, არასდროს დაიწყებენ ამ საკითხზე მუშაობას. ერთ-ერთი მთავარი პრობლემა იმისა, რატომაც ვერ წავა ქალი პოლიტიკაში, განსაკუთრებით რეგიონში, ისაა, რომ არ არის საკმარისი რაოდენობის საბავშვო ბაღები, არაა ინფრასტრუქტურა გამართული და გამოდის, რომ ქალმა ხუთმაგად უნდა იმუშაოს, რომელიც თან დედაა, თან გარემო ხელს არ უწყობს და თან პოლიტიკაში უნდა იყოს! სწორედ ეს ვუთხარი უმრავლესობას, როცა არ გიმუშავიათ ეს სამი წელი და მეუბნებით, რომ ვერ იპოვეთ ქალები, ეს არგუმენტი არ მიიღება!

ეს თემები რომ დაგროვდა, სამწუხაროდ, დაჩრდილა ის პროგრესი, რომელსაც ერთად ვაშენებდით, ამიტომ ჩვენი მხარდაჭერა ამ კანონპროექტმა ვერ მიიღო. ეს კანონი უკვე ძალაში შედის და იწყება მეორე მნიშვნელოვანი ფაზა, სადაც ოპოზიციასაც და მედიასაც გვმართებს ძალიან აქტიური მუშაობა იმისთვის, რომ პოზიტიური ცვლილებები სწორად დაინერგოს და პრობლემები, რომლებიც დარჩა, რაც შეიძლება, ნაკლებად პრობლემური აღმოჩნდეს პრაქტიკაში, რადგან არჩევნების არის პრაქტიკა. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ ჩაივლის საარჩევნო კამპანია, რამდენად დაექვემდებარებიან პარტიები კანონს, რომ მოსყიდვა, ძალადობა და ზეწოლა არ მოხდეს.

რას გეგმავს 4 ივლისს და როგორ აპირებს პატრიოტთა ალიანსი ეკლესიის დაცვას

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

„პატრიოტთა ალიანსი ეკლესიებში ხელმოწერებს აგროვებს სახალხო დამცველისა და NGO-ების წინააღმდეგ – კახეთის რამდენიმე ეკლესიაში შესული მოქალაქეები ხელს აწერენ დოკუმენტებზე, რომლის მიხედვითაც, ერთ შემთხვევაში, ისინი უნდობლობას უცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველს, მეორე დოკუმენტზე ხელმოწერით კი ნდობას გამოხატავენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ“, – „რადიო თავისუფლების“ მიერ გავრცელებული ეს ინფორმაცია, „ვერსიამ“ „პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთ ლიდერთან, გოჩა თევდორაძესთან გადაამოწმა, რომელმაც განაცხადა, რომ ეკლესიის დასაცავად, პარტია 4 ივლისს, 15:00 საათზე, ოპერის თეატრის გვერდით, საპროტესტო აქციას გამართავს.

გოჩა თევდორაძე: „ქვეყანაში საქმე კარგად ვერ არის და თუ არ დაეთანხმები, გეუბნებიან, რუსეთის აგენტი ხარო!“

– ბატონო გოჩა, ეკლესიებში ხელმოწერებს მართლა აგროვებთ?

– „რადიო თავისუფლება“ როცა გვირეკავს და ვეუბნებით, რომ 4 ივლისს ვაწყობთ აქციას, მერე რაღაცას ავრცელებს, რა ვქნათ, ამას მიჩვეულები ვართ.

– აქციას რასთან დაკავშირებით მართავთ?

– „დაიცავი ეკლესია“ – ეს უმთავრესი საკითხია, რადგან დასაცავი გახდა ეკლესიაც და პატრიარქიც, თუმცა გარდა ამისა, მეორე საკითხიცაა – „პატრიოტთა ალიანსს“ პარლამენტი მეორე მოსმენით ართმევს კომისიის წევრს, რაშიც, იმის გამო, რომ ხმას ვერ იღებს და მიყიდულია, ჩართულია ოპოზიციის თითქმის სრული სპექტრი, რომელიც ვენეციის კომისიის დასკვნას არ ითვალისწინებს, სადაც პირდაპირ წერია, რომ ეს მუხლი უნდა იქნეს ამოღებული და ახლიდან განხილული.

როცა ვეკითხებით ოპოზიციას, კულუარულად გვიდასტურებს, რომ ეს სადამსჯელო ღონისძიება და უკანონობაა, მაგრამ პირველი მოსმენით ხმა აქვს მიცემული, კომიტეტზე არ გააპროტესტეს და დღესაც მჯერა, რომ ოპოზიციის უდიდესი ნაწილი ამას ხმას მისცემს.

ზოგადად, დღეს რა პრობლემაა საქართველოში – საუბარია იმაზე, რომ მიშელის ოთხპუნქტიანი დოკუმენტი უნდა შესრულდეს. ამ ოთხი პუნქტიდან „ქართული ოცნება“ ერთსაც არ ასრულებს. ამ შეთანხმებაში მესამე პუნქტი საარჩევნო სისტემას ეხება და კანონმდებლობის მიხედვით, პარტიას, რომელიც რეგისტრირებულია 2020 წლის არჩევნებში და რომელმაც გადალახა ბარიერი, მხოლოდ მას შეიძლება მიეცეს კომისიის წევრი სხვადასხვა ადმინისტრაციაში. დღეს კი გვიცხადებენ, რომ „პატრიოტთა ალიანსს“ ეს წევრი ჩამოერთმევა და მიეცემა ევროპელ სოციალისტებად წოდებულ პარტიას, რომელიც საერთოდ არ არსებობდა არჩევნების დროს, არც რეგისტრირებული იყო და არც ბარიერი გადაულახავს...

ქვეყანაში საქმე კარგად ვერ არის და თუ არ დაეთანხმები, თეთრზე შავიაო, გეუბნებიან, ქვეყნის მტერი და რუსეთის აგენტი ხარო. ამიტომ აქციაც იქნება, პროტესტიც...

როცა ეკლესიასა და სახალხო დამცველის თემაზე ვსაუბრობთ, ომბუდსმენი შერჩევით დამცველი არ უნდა იყოს. ნინოწმინდის პანსიონზე ატეხეს ერთი ამბავი, სავარაუდო გაუპატიურებაზე, არ მიშვებენ, რომ სავარაუდო გაუპატიურების ფაქტი გამოვიძიოო. მერე აღმოჩნდა, რომ საუბარია 2016-17 წლებზე... ტერმინი „სავარაუდო გაუპატიურებაც“ არ შეიძლება გამოიყენოს ვინმემ, ან არსებობს, ან – არა და ეს ჯერ დადგენილიც არაა. 5 წლის წინ, არც სავარაუდო გაუპატიურებული და არც სავარაუდო გამაუპატიურებელი არ არის ნინოწმინდის სასწავლებელში და ამის გამოსაძიებლად მინდა იქ შევიდეო, ამბობს. ისროლეს ტალახი ეკლესიის და მეუფის წინააღმდეგ. სრულ ტერორში ჰყავდათ ის ბავშვები, რომლებიც იქ იყვნენ და თვლიან, რომ ზეწოლას მათზე ადგილი არ ჰქონია. პატრიარქსაც ესროლეს ტალახი და ბოლოს, აღმოჩნდა, რომ თურმე, ხელისუფლებას ასოცირებული შეთანხმებით ვალდებულება აქვს აღებული, რომ ფართომასშტაბიანი პანსიონები ქვეყანაში არ უნდა იყოს და არ იქნება 2022 წლის აპრილიდან. ამიტომ ნინოწმინდის პანსიონმაც სახე უნდა იცვალოს და ამისთვის საჭირო იყო, გვესროლა ტალახი ყველასა და ყველაფრისთვის!

ხომ შეეძლო, გამოსულიყო მთავრობა და ამაში დახმარებოდა სახალხო დამცველიც, ეთქვათ, ასეთი ტიპის სასწავლებლებზე ვალდებულება გვაქვს აღებულიო... როდესაც ამას აკეთებს არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილი და სახალხო დამცველი, დასაგმობია და ამიტომ, რა არის გასაკვირი, თუ „პატრიოტთა ალიანსი“ ამაზეც იმსჯელებს? დასაცავია საპატრიარქოცა და ეკლესიაც.

– ბატონო გოჩა, ისე, ხომ არ ნანობთ, პარლამენტში შესვლაზე უარი რომ თქვით?

– „პატრიოტთა ალიანსი“ შევა პარლამენტშიო – ყველა ასე ამბობდა და ახლა გვეუბნებით, არ შეხვედითო?!

– თავის დროზე განმარტეთ, რომ პარლამენტში შესული დეპუტატები თქვენი პარტიის წევრები არ იყვნენ და დამოუკიდებლად მიიღეს ეს გადაწყვეტილება...

– „პატრიოტთა ალიანსის“ სახელით რომ არ შესულიყვნენ, ვერც შევიდოდნენ, „პატრიოტთა ალიანსმა“ აიღო ხმები და სხვისი სახელით როგორ შეხვალ?! ვიღაც იყიდეს, ვიღაც დააშინეს, ვიღაცას თავად მოუნდა, ხელისუფლებას ასიამოვნოს.

– თქვენი პარტიის ყოფილ წარმომადგენლებზე ამბობთ, რომ შესაძლოა, მოისყიდეს ან დააშინეს?

– მთელი ოპოზიცია ჰყავთ მოსყიდული და რა გასაკვირია, ვიღაცას თავის ნებით დაეჭირა მხარი „ქართული ოცნებისთვის“, ვიღაცისთვის რაღაც შეეთავაზებინათ მოსასყიდად, ბიზნესმენებისთვის რაღაც ბიზნესის გაკეთება, ვიღაცის ბიზნესი შეიძლება, დღეს ტერორის ქვეშ იყოს – მე ჩემს ვარაუდებს გეუბნებით. ვერ ხედავთ, რომ ქვეყანა იყიდე-გაყიდეა?! მერე გვეუბნებიან, ეს „პატრიოტთა ალიანსის“ სიით შესული აღარ არისო...

– ბატონო გოჩა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში აპირებთ მონაწილეობას?

– პარტია იმისთვისაა მოწოდებული, რომ ყველა არჩევნებში მიიღოს მონაწილეობა. ცხადია, ვაპირებთ მონაწილეობას, თუმცა არ გვაქვს იმედი, რომ არჩევნები ჩატარდება სამართლიანი ფორმატით, მაგრამ როგორც ყოველთვის, ამ არჩევნებშიც დამოუკიდებლად მივიღებთ მონაწილეობას.

თბილისის მერიამ ხელფასებში, პრემია-დანამატებსა და ფულად ჯილდოებში მილიონობით ლარი არამიზნობრივად დახარჯა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა თბილისის მერიის აუდიტი გამოაქვეყნა. სახელმწიფო მაკონტროლებლები თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოების 2017-2018 წლების დაფინანსების შესაბამისობით დაინტერესდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, აუდიტის შედეგად, სხვადასხვა სახის ფინანსური დარღვევები გამოვლინდა, როგორც შრომის ანაზღაურებაში, ასევე, პრემია-დანამატებსა და ფულად ჯილდოებშიც კი. მეტიც, აუდიტის შედეგად გაირკვა, რომ თბილისის მერიაში დასაქმებულ შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა 2017 წელს – 14-ჯერ, 2018 წელს კი 11-ჯერ აჭარბებდა რეკომენდებულ რაოდენობას.

დარღვევები, რომლებიც სახელმწიფო აუდიტორებმა აღმოაჩინეს

დარღვევები შრომის ანაზღაურებაში

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ აღმასრულებელი ორგანოების მიერ, ადმინისტრაციულ შენობებში უცხო პირთა დაშვების, დასაქმებულთა აღრიცხვისა და მათი სამუშაო საათების დათვლის სისტემების მონტაჟის/ინსტალაციის მიზნით, 226 000 ლარზე მეტი გადახდილია არაეფექტიანად. გარდა ამისა, დასაქმებულების ნამუშევარი დროის აღრიცხვისა და კონტროლის სისუსტის გამო, მათ მიერ ნამუშევარი საათების საერთო რაოდენობა არ შეესაბამება მოქმედი შინაგანაწესების მოთხოვნების შესაბამისად, სავალდებულოდ შესასრულებელი საათების ჯამურ მოცულობას. მეტიც, მერიასა და გამგეობებში, ხელმძღვანელი პირებისგან არასათანადოდ ხორციელდება მათ დაქვემდებარებაში მყოფი დასაქმებულების სამსახურში გამოცხადებისა და სამუშაო დროის აღრიცხვის კონტროლი.

უფრო კონკრეტულად, 2017-2018 წლებში, თბილისის მერიასა და გამგეობებში მოქმედი შინაგანაწესების თანახმად, დასაქმებულთათვის გათვალისწინებული იყო 8-საათიანი სამუშაო დღე – 9:00 საათიდან 18:00 საათამდე. მათთვის განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობებისა და შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით, გარკვეული კატეგორიისთვის, სამუშაოს შესრულება დაკავშირებულია ადმინისტრაციული შენობის გარეთ საქმიანობასთან. ტერიტორიული ორგანოებში მოქმედი შინაგანაწესების შესაბამისად, მოსამსახურე, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად იმყოფებოდა გამგეობის შენობის გარეთ, ითვლებოდა სამსახურში მყოფად. სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2017 წელს, მერიასა და მის ტერიტორიულ ორგანოებში დასაქმებული იყო 1 999, ხოლო 2018 წელს – 1 931 თანამშრომელი!

„მერიისა და გამგეობების მიერ, ადმინისტრაციულ შენობებში უცხო პირთა დაშვების, დასაქმებულთა აღრიცხვისა და მათი სამუშაო საათების დათვლის სისტემების მონტაჟის/ინსტალაციის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 226 012 ათას ლარზე მეტი იყო. შედეგად, ადმინისტრაციულ შენობებში დამონტაჟდა ტურნიკეტები და შლაგბაუმები. აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა ვაკის გამგეობასა და მერიის ცალკეულ საქალაქო სამსახურში დასაქმებულ იმ პირთა მონაცემები, რომლებიც 2017-2018 წლებში, ტურნიკეტებს იყენებდნენ. ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დასაქმებულების ნამუშევარი საათების საერთო რაოდენობა არ შეესაბამება მოქმედი შინაგანაწესების მოთხოვნების სავალდებულოდ შესასრულებელი საათების ჯამურ მოცულობას. კერძოდ, შესწავლილი 183 დასაქმებულიდან, 94 პირის მიერ გაცდენილი საათების საერთო რაოდენობამ 21.7 ათასი საათი შეადგინა, რაც 8-საათიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინების პირობებში, საერთო სამუშაო საათების რაოდენობის 17%-ია“, – ვკითხულობთ აუდიტის დასკვნაში.

2017-2018 წლებში, ვაკის რაიონის გამგეობაში მომუშავე 92 დასაქმებულიდან, მხოლოდ 44 მათგანი სარგებლობდა დასწრება-აღრიცხვის სისტემით. შესაბამისად, არსებობდა რისკი, რომ ტურნიკეტის, როგორც დასწრება-აღრიცხვის მიზნით დანერგილი კონტროლის მექანიზმის უგულებელყოფის პირობებში, მსგავს პრეცედენტებს ადგილი ექნებოდა დანარჩენ ტერიტორიულ ორგანოებშიც. სწორედ ამ დარღვევებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ აღმასრულებელი ორგანოების მიერ დასაქმებულთა დაშვებისა და ნამუშევარი დროის აღრიცხვის სისტემების შეძენასა და მომსახურებაში გადახდილი 226 000 ლარზე მეტი თანხა არაეფექტური ხარჯია:

„ამასთან, 2017– 2018 წლებში, მერიასა და გამგეობებში არ არსებობდა დასაქმებულთა დასწრებისა და მათი ნამუშევარი დროის აღრიცხვის კონტროლის სრულყოფილი სისტემა, რაც დაადასტურებდა, რომ ანაზღაურებული თანამდებობრივი სარგოს ოდენობა, დასაქმებულთა ნამუშევარი დროის ადეკვატურია. შესაბამისად, განხილულ პროცესში არსებული კონტროლის სისუსტე წარმოშობს რისკს, ხელფასი გაიცემოდეს ისეთ დასაქმებულებზეც, რომლებიც სამსახურში არ ცხადდებიან ან/და მათი სამუშაო დროის გაცდენილი საათების ოდენობა მაღალია“.

ხარვეზები პრემია-დანამატებსა და ფულად ჯილდოებში

სახელმწიფო აუდიტორებმა ისიც გაარკვიეს, რომ 2017 წელს, მერიასა და გამგეობებში, სახელფასო დანამატის მიმღებთა ვინაობა წინასწარ იყო განსაზღვრული მერის მიერ გამოცემული ბრძანებებით; 2018 წელს, თბილისის მერიასა და გამგეობებში შემუშავდა ზეგანაკვეთური სამუშაოს, ასევე დასვენების/უქმე დღეებში საქმიანობის ანაზღაურების წესი, თუმცა წახალისებულ პირთა მიერ ნამუშევარი ზეგანაკვეთური დრო, დასაქმებულთა რეალურად ნამუშევარი დროის მაჩვენებელს არ შეესაბამება. რაც მთავარია, ზეგანაკვეთურად მუშაობის საფუძვლით სახელფასო დანამატის გაცემის პრაქტიკა ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

სახელმწიფო აუდიტორების მტკიცებით, 2018 წელს, თბილისის მერიასა და გამგეობებში შემუშავდა თანამშრომლების მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს, ასევე, დასვენების/უქმე დღეებში საქმიანობის ანაზღაურების წესი, რის თანახმადაც, ზეგანაკვეთურად ნამუშევარი და ანაზღაურებული საათები უნდა დაანგარიშებულიყო თანამდებობრივი სარგოს გარკვეული პროცენტული პროპორციით. დასაქმებულების მიერ, დღის განმავლობაში შესრულებული ზეგანაკვეთურად ნამუშევარ საათებს, უშუალოდ, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები ანგარიშობდნენ. აუდიტის ჯგუფმა გაარკვია, რომ თბილისის აღმასრულებელი ორგანოები, შესამოწმებელ პერიოდში დასაქმებულთა ნამუშევარი საათების გამოსათვლელად, ტურნიკეტებს ან დასწრება-აღრიცხვისთვის განკუთვნილ ჟურნალს არ იყენებდნენ. შესაბამისად, მერიის წარმომადგენლებმა, აუდიტის ჯგუფს შესაფერისი და საკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ წარუდგინეს, რაც დასაქმებულთა მიერ ზეგანაკვეთურად ნამუშევარ საათებს დაადასტურებდა.

ტურნიკეტის მონაცემით, მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურში დასაქმებული 5 პირი, შესაბამის პერიოდში რეალურად უფრო ნაკლები დროით იმყოფებოდა მერიის შენობაში, ხოლო 8 პირის შემთხვევაში – მათი სამსახურში ყოფნის დრო აღემატება მოხსენებით ბარათებში მითითებულ ზეგანაკვეთურად სამსახურში ყოფნის დროს. ამასთან, იურიდიულ საქალაქო სამსახურში დასაქმებული 36 პირიდან, 18 მათგანის შემთხვევაში, არ დასტურდება ზეგანაკვეთურად მუშაობის გარემოება, ხოლო 18 დასაქმებულის მიერ ადმინისტრაციულ შენობაში ყოფნის პერიოდი აღემატება შესაბამისი ბრძანებების საფუძვლებში მითითებულ დროს!

შტატგარეშედ დასაქმებულთა გადაჭარბებული რაოდენობა

როგორც აღვნიშნეთ, 2017 წელს, შტატგარეშე დასაქმებულთა რაოდენობამ 14-ჯერ, ხოლო 2018 წელს – 11-ჯერ გადააჭარბა რეკომენდებულ რაოდენობას; შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების ვალდებულებები და ფუნქციური დატვირთვა ზოგად ხასიათს ატარებდა, ხოლო გარკვეულ რაოდენობას მუდმივი ამოცანების შესასრულებლად იღებდნენ სამსახურში.

სახელმწიფო აუდიტორებმა გაარკვიეს, რომ 2017 წელს, აღმასრულებელ ორგანოებში, შტატგარეშედ დასაქმებული პირების დანიშვნასთან დაკავშირებით, შესაბამისი ბრძანებები გაიცემოდა, რომელთა შინაარსი არ მოიცავდა დანიშნული პირების მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერილობებს ან/და დავალებებს. ამის ნაცვლად, მხოლოდ სტრუქტურული ერთეულის დასახელებას, თანამდებობასა და შრომის ანაზღაურების ოდენობას უთითებდნენ.

შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების გარკვეულ რაოდენობას მუდმივი ამოცანების შესასრულებლად იღებდნენ. კერძოდ, 2017-2018 წლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული 230 პირის შემთხვევაში, ხელშეკრულებით დასაქმების პერიოდმა გადააჭარბა 12 თვეს. ისიც გაირკვა, რომ ცალკეულ შემთხვევაში, კონსულტანტებისა და მრჩეველების პოზიციებზე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებისთვის განსაზღვრული ხელფასის მოცულობა, კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად, შტატით დანიშნული პირების თანამდებობრივი სარგოს ოდენობას აღემატებოდა. მეტიც, ხშირ შემთხვევაში, უთანაბრდებოდა ან აჭარბებდა სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებისა და მათი მოადგილეების თანამდებობრივ სარგოებს!

აუდიტის ჯგუფმა ვერ მოპოვა მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული კონკრეტული პირების მიერ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ, შესრულებულ სამუშაოს. მტკიცებულებების ნაცვლად, აუდიტის ჯგუფს მხოლოდ რამდენიმე დასაქმებულის მიერ შესრულებული აღწერილობითი ხასიათის მქონე ინფორმაცია გადასცეს, რაც მათ მიერ შესრულებულ საქმიანობას უკავშირდებოდა.

აქედან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, აღმასრულებელ ორგანოებში, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დასაქმებულ პირებს მუდმივი ამოცანების შესასრულებლად იღებდნენ. ამასთან, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა სათანადო მტკიცებულებები, რაც მათ მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას დაადასტურებდა.

ემილი ფეიქრიშვილი

საქართველოში მინდობითი აღზრდით არაერთი ბავშვია სახელმწიფოსგან ოჯახებზე მიბარებული. რას არის მინდობითი აღზრდა, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს მიმღები ოჯახი და როგორ არეგულირებს ამ პროცესს სახელმწიფო? – „ვერსია“ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ დაუკავშირდა. ამასთან, ერთ-ერთი მიმღები ოჯახის აღმზრდელთან ინტერვიუსაც გთავაზობთ, რომელმაც ამ თემაზე ექსკლუზიური დეტალები გაგვიმხილა...

რა უჯდება სახელმწიფოს მინდობით აღზრდაში მყოფი ერთი ბავშვის ყოველთვიური შენახვა

რა არის მინდობითი აღზრდა და რამდენად უსაფრთხო გარემოში ცხოვრობენ ე.წ. მიმღებ ოჯახებში ბავშვები

ვიდრე ინტერვიუს შემოგთავაზებთ, „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს“ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას გაგაცნობთ, რომელიც მინდობით აღზრდას ეხება:

„მინდობით აღზრდა – ესაა სახელმწიფო ზრუნვის ფორმა, რომელიც მიახლოებულია ოჯახურ ზრუნვასთან, მიზნად ისახავს მინდობით აღსაზრდელის მოვლასა და აღზრდას. თუ ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახში დატოვება ან მისი დაბრუნება შეუძლებელია, მაშინ ხდება მისი ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ ზრუნვის ფორმაში განთავსება, რომელიც მინდობითი აღზრდაა.

ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველმა პირმა/პირებმა უნდა მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს, თავისი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მინდობით აღზრდის მსურველმა პირმა უნდა გაიაროს კონსულტაცია მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს უფლებამოსილ პირთან.

ტერიტორიული ერთეულის სოციალური მუშაკის მიერ უნდა გადამოწმდეს შემდეგი ფაქტები: აქვს თუ არა მინდობით აღზრდის მსურველ პირს შეზღუდული, შეჩერებული ან ჩამორთმეული მშობლის ან მეურვის/მზრუნველის უფლებები კანონით განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო; მინდობით აღზრდის მსურველ პირს, ჩამორთმეული ხომ არ ჰყავს მინდობით აღსაზრდელი, საქართველოს კანონმდებლობითა და სახელმწიფოსა და მინდობით აღმზრდელს შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოვალეობათა არაჯეროვნად შესრულების გამო; არის თუ არა მინდობით აღზრდის მსურველი პირი სასამართლოს მიერ შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებული ან მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი.

მინდობით აღზრდის მსურველმა პირმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

მინდობით აღზრდის მსურველი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა); ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა არ შეიცავს მონაცემებს ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ; მინდობით აღზრდის მსურველი პირის და მასთან მცხოვრები მისი ოჯახის წევრების ნასამართლეობის შესახებ ცნობა; მინდობით აღზრდის მსურველი პირის მსჯავრდების შესახებ ცნობა; მინდობით აღზრდის მსურველი პირის ოჯახის ძალაში მყოფი ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, რომელიც ადასტურებს ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის/ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას. (რეგისტრაციის მომენტისათვის პირის/ოჯახის სარეიტინგო ქულა უნდა აღემატებოდეს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ ზღვრულ ქულას); სერტიფიკატი – ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირის მიერ მოსამზადებელი კურსის სრულად გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი მინისტრის მიერ დამტკიცებული წესით; განაცხადის შევსებისას, თუ ბავშვის მინდობით აღზრდის მსურველი პირი ვერ აკმაყოფილებს მინდობით აღმზრდელის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს, სოციალური მუშაკი არ ახორციელებს მინდობით აღზრდის მსურველი პირის შეფასებას, ხოლო მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანო, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს“.

აქვე, იმ ბიუროკრატიულ ფორმალობებსაც გაგაცნობთ, რაც მოზარდის ოჯახისთვის გადასაცემად უნდა გაითვალისწინოთ. დავიწყოთ იმით, რომ ბიოლოგიური ოჯახი უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ უნარ-ჩვევებს, რაც აუცილებელია ბავშვის პირველადი საჭიროების დასაკმაყოფილებლად. უმთავრესი ისაა, რომ ბავშვის სიცოცხლესა და ჯანრმრთელობას საფრთხე არ შეექმნას:

„ბიოლოგიური ოჯახების გაძლიერებისა და სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ხდება ბავშვთა ჩართვა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის შემდეგ ქვეპროგრამებში: კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების ქვეპროგრამა; ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა; დღის ცენტრებში მომსახურებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა; განვითარების მძიმე და ღრმა შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა; ასევე, ოჯახს სახელმწიფო ეხმარება და ბავშვს 18 წლამდე, ყოველთვიურად ურიცხავს გარკვეულ თანხას. გარდა ამისა, სოციალური მუშაკების რეკომენდაციით, ხდება ბავშვებისა და ოჯახების ჩართვა არასამთავრობო ორგანიზაციების ოჯახის გაძლიერების პროგრამებში, ასევე, ხორციელდება შუამდგომლობის გაწევა ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, მუნიციპალურ პროგრამებში ჩართვის მიზნით“.

სააგენტოს ინფორმაციითვე, სოციალური მუშაკი ყოველთვის ცდილობს, ბავშვი ისეთ მინდობით აღმზრდელის ოჯახში განათავსოს, რომელიც ტერიტორიულად ახლოს იქნება ბიოლოგიურ ოჯახთან. აღსანიშნავია, რომ მინდობით აღზრდაში შეყვანის დღიდან, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან მუშაობა მიმდინარეობს მოზარდის ოჯახში დაბრუნების მიზნით. იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში ბრუნდება, ბავშვს სახელმწიფო ეხმარება და 18 წლამდე, ყოველთვიურად ურიცხავს გარკვეულ თანხას:

„აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ 2020 წლის 1 სექტემბრიდან, ძალაში შევიდა ბავშვთა უფლებათა კოდექსი. აღნიშნული კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, ბავშვი მისი ნების საწინააღმდეგოდ არ უნდა განცალკევდეს მშობლისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი დაშორება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოციალური მუშაკი. ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით, იგი შუამდგომლობას წარუდგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს. გადაწყვეტილებას განცალკევების თაობაზე, იღებს მოსამართლე. მინდობითი აღზრდის ანაზღაურება განისაზღვრება შემდეგი ოდენობით: მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვისათვის – ერთი კალენდარული დღე ჯანმრთელი ბავშვისთვის განისაზღვრება 16 ლარით, შშმ ბავშვისთვის – 30 ლარის ოდენობით“.

რამდენად შეესაბამება სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაცია რეალურად არსებულ მდგომარეობას? – ამის გასარკვევად ერთ-ერთ მინდობით ოჯახს ვესტუმრეთ. პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, ოჯახმა დეტალური გვიამბო, თუ რამდენად უზრუნველყოფს სახელმწიფო აღსაზრდელებს:

„პროფესიით ექთანი ვარ, აღმზრდელად 2012 წლიდან ვმუშაობ. რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთი პროექტის შესახებ გავიგე, რომელიც მოიცავდა მინდობით აღზრდას. ეს კი ითვალისწინებს მზრუნველობამოკლებული ბავშვების მოვლას. ისეთი მოზარდებისა, რომლებსაც რომელიმე მშობელი ან არც ერთი მათგანი არ ჰყავს. ასევე, როდესაც საკუთარი შვილებით არ ინტერესდებიან და ამის გამო, მინდობით აღზრდაში, ოჯახებში არიან გადანაწილებულნი. ჩემს აღსაზრდელებს, როგორც საკუთარ შვილებს, ისე ვუვლი. სამი ბიოლოგიური შვილი მყავს და მათთან ერთად, იმ ბავშვებს ვეხმარები, რომლებსაც ოჯახის მზრუნველობა და სითბო სჭირდებათ.

სახელმწიფო ზრუნავს, რომ აღსაზრდელებს ბიოლოგიური მშობლების საცხოვრებელთან ახლოს მოუძებნონ თავშესაფარი, რათა ოჯახის წევრებს ჰქონდეთ საშუალება, მოინახულონ საკუთარი შვილი. საწყის ეტაპზე ცდილობენ, რომ ნათესავი ნახონ, რომელიც მინდობით აღზრდაში აიყვანს ბავშვს, მაგრამ როდესაც ასეთი რამ ვერ ხდება, მხოლოდ ამის შემდეგ ანაწილებენ შესაბამის რაიონში.

მიმღებ ოჯახს სახელმწიფო რეკომენდაციას აძლევს, რომ ბავშვებს შეუნარჩუნოს ბიოლოგიურ მშობლებთან კონტაქტი, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მშობლების მხრიდან საკუთარი შვილების მიმართ ინტერესი მცირეა. ზოგიერთი მათგანი ძალიან იშვიათად ან რამდენიმე თვის განმავლობაშიც კი არ ნახულობს შვილს“.

რესპოდენტი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, გვიამბობს, რომ ერთ-ერთ აღსაზრდელს, რომელიც ახლა ჰყავს, ცერებრალური დამბლა და დაუნის სინდრომი აქვს და მას სახელმწიფომ მასწავლებელი დაუნიშნა:

„ის ჩვენთან სახლში, კვირაში რამდენჯერმე მოდის და შესაბამისი მასალით იმ ელემენტარულს ასწავლის, რის ათვისებასაც ბავშვი შეძლებს. გამოყოფილია ლოგოპედი სახელმწიფოს მხრიდან, ასევე, სპეცმასწავლებელი, რომელიც COVID-19-ის ვირუსის გამო, გარკვეულ რეკომენდაციებს დისტანციურად გვაწვდის. პანდემიამდე ადგილზე ხდებოდა სასწავლო პროცესში ჩართვა, ასევე, ვუტარებთ რეაბილიტაციას და ფიზიკურ ვარჯიშების, გვყავს ოკუპაციური თერაპევტი, რომელიც უზრუნველყოფს შშმ აღსაზრდელებისთვის სპეციფიკური აქტივობების საშუალებით მკურნალობას, რათა ხელი შეუწყოს პიროვნების ფუნქციონირების მაქსიმალური დონის მიღწევას. აღნიშნული თერაპიის მიზანია, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის გაუმჯობესება. რამდენიმე თვეში ერთხელ, აღმზრდელ ოჯახებში, პირობების შესამოწმებლად მიდიან სახალხო დამცველი და ბავშვთა უფლებების დამცველები პირობების შესამოწმებლად, რათა დააზუსტონ, არის თუ არა შესაბამისი გარემო აღსაზრდელებისთვის.

თუ ბიოლოგიური ოჯახი შეძლებს და ბავშვისთვის გარკვეულ პირობებს გააუმჯობესებს, შესაძლებელია, მშობლის უფლება და მინდობით აღზრდაში მიბარებული ბავშვი სასამართლოს გზით დაიბრუნოს. ზოგადად, სასამართლო წყვეტს, რამდენად მიზანშეწონილია ბავშვის რეინტეგრაცია.

მიმღები მშობლებისთვის, „დღის ცენტრსა“ და არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვებში“, ქცევის მართვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო ტრენინგებსაც გვიტარებს, რაც აღსაზრდელებთან ურთიერთობაში ძალიან მნიშვნელოვანია. სახელმწიფომ მოგვაწოდა სატრეინინგო მასალები, ლიტერატურა, რომლის საშუალებითაც ვახერხებ, რომ უფრო მეტ ინფორმაციას გავეცნო ჩემი და აღსაზრდელების მდგომარეობის შესახებ, მივიღო ინფორმაცია თანამედროვე მიდგომებსა და დამოკიდებულებებზე.

სახელმწიფო ჯანმრთელ მოზარდებს – 480 ლარით, შშმ ბავშვებს კი 900 ლარით აფინანსებს. რა თქმა უნდა, ეს თანხა ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ ესაა შემწეობა, რომ ბავშვი შეინახო. რამდენიმე დღის განმავლობაში, ბავშვებს ახალ ოჯახთან შეგუება უჭირთ, მაგრამ აღმზრდელი ოჯახი დიდ როლს თამაშობს ბავშვის მარტივად ინტეგრირების პროცესში. მიმღები ოჯახის მოვალეობა საკმაოდ რთულია, იოლი სულაც არაა, როდესაც შშმ პირის ან აუტისტური სპექტრის ნიშნების, ოპოზიციურ-დევიაციური ქცევითი აშლილობისა და ჰიპერაქტიური ბავშვის აღზრდა გიწევს“.

სამართალი
№22 30 ივნისი 2021 წ

ვატო ყიფიანის საქმის უცნობი დეტალები

ბათო ჯაფარიძე

რა ჩვენება მისცა უკრაინის მოქალაქემ და რატომ გაუკვირდა „კრიმინალურ ავტორიტეტს“ დაკავება

სამართალდამცავებმა თბილისში ვახტანგ (ვატო) ყიფიანი დააკავეს. ის საქართველოში ვახტანგ წულუკიძის სახელით იყო შემოსული, თუმცა პოლიციაც ადასტურებს, რომ ყალბი საბუთები არ ჰქონია, უბრალოდ, გვარი გამოიცვალა. ყიფიანს 2020 წელს, ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობის მცდელობას ედავებიან. შეგახსენებთ, რომ აფეთქებით, ორი პირის შეკვეთილი მკვლელობის მზადების ბრალდებით, ერთდროულად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 2020 წლის 30 იანვარს, თბილისსა და ბათუმში, საქართველოს 6 მოქალაქე დააკავეს. პარალელურად, უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა ქალაქ ხარკოვში, ამავე დანაშაულთან კავშირში მყოფი უკრაინის ერთი მოქალაქე დააკავეს. გამოძიების ვერსიით, საქართველოს ორი მოქალაქის მკვლელობა უკრაინაში დაიგეგმა და ის სპეციალური, დისტანციურად მოქმედი ასაფეთქებელი მოწყობილობის გამოყენებით უნდა განხორციელებულიყო. მაშინვე ითქვა, რომ ფეიქრიშვილების მკვლელობა სწორედ ყიფიანმა დაგეგმა.

2016 წელს, ფალიაშვილზე, ყიფიანის მეგობარი, სოსო ჯოხაძე საკუთარ ავტომობილში ჩაცხრილეს. სამართალდამცავებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილი, ბადუკა ნათობაძე მალევე დააკავეს და 19 წლით თავისუფლების აღკვეთაც მიუსაჯეს.

როგორც ითქვა, ნათობაძე სწორედ ფეიქრიშვილების ახლობელია და ძმებ ჯოხაძეებთან კონფლიქტის გამო, მოხდა აღნიშნული მკვლელობაც.

ჰოდა, პოლიციის ვერსიით, მეგობრის სიკვდილისთვის შურისძიების მიზნით, ყიფიანმა ფეიქრიშვილების აფეთქება დაგეგმა, თუმცა... ერთია სამართალდამცავთა ვერსია, მეორე – რეალობა.

რეალურად, ყიფიანი ეჭვმიტანილი მას შემდეგ გახდა, რაც უკრაინის დაკავებულმა მოქალაქემ განაცხადა, რომ ფეიქრიშვილების აფეთქება უკრაინაში მცხოვრებმა ქართველმა „კრიმინალურმა ავტორიტეტმა“ შეუკვეთა, თუმცა მას არ უთქვამს, რომ ეს „კრიმინალური ავტორიტეტი“, სწორედ ყიფიანი იყო.

თუ იმას ვიტყვით, რომ ყიფიანის გარდა, უკრაინაში ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტები“ არ არიან, მაშინ ის დამნაშავეა, მაგრამ ყველამ ხომ იცის, რომ „კრიმინალური ავტორიტეტები“ კი არა, უკრაინა ქართველი ე.წ. კანონიერი ქურდებით არის სავსე, თუმცა ეს დაკავებული უკრაინელის პირველი ჩვენებაა, მისცა თუ არა მან ახალი ჩვენება და ახსენა თუ არა ყიფიანი, ვერ გეტყვით.

ამ საქმეზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ 2017 წლის 3 მაისი. ამ დღეს, ჯავახიშვილის ქუჩაზე, 26 წლის გიორგი შარაშენიძე, საკუთარ ავტომანქანაში ავტომატით ჩაცხრილეს. შემთხვევის ადგილზე, სამართალდამცავებმა 13 მასრა იპოვეს და ცხელ კვალზე, დანაშაულში ბრალდებული სამი პირიც დააკავეს.

გამოძიების ცნობით, მკვლელობა წარსულში მომხდარი კონფლიქტის გამო მოხდა. ერთ-ერთი ვერსიით, შარაშენიძეს სოსო ჯოხაძის მეგობრებთან კონფლიქტი ბადუკა ნათობაძის გამო ჰქონდა. შესაბამისად, ამ ვერსიის მიხედვით, ეს უკანასკნელი შარაშენიძის მეგობარი იყო, დაკავებულები კი ჯოხაძეების მეგობრები არიან...

ისიც უნდა ითქვას, რომ სამართალდამცავებმა ყიფიანი, რატომღაც ორი თვის წინ არ დააკავეს ანუ მარტში, საქართველოში ექვსი დღით იმყოფებოდა, თავისუფლად გადაადგილდებოდა და მხოლოდ ერთხელ შეაწუხეს, როცა სწორედ იმ საქმეზე დაკითხეს, რომელზეც ამჯერად დააკავეს.

რა გამოდის?

დაკითხვისას, ყიფიანისგან სამართალდამცავებმა ისეთი ვერაფერი გაიგეს, რაც დაკავების შესაძლებლობას მისცემდათ, ახლა კი მარტივად გადაუგრიხეს ხელები. აღნიშნული დაკავებით, თავად ყიფიანიც ძალიან გაოცებულია – არ ელოდა დაკავებას და საქართველოს დედაქალაქშიც მეგობრების სანახავად იყო ჩამოსული.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რა შედეგით დასრულდება სასამართლო პროცესი, რადგან ჯერჯერობით, პროკურატურას მტკიცებულებების მიმართულებით, მყარი პოზიციები ნამდვილად არ აქვს. ამას ადასტურებს ყიფიანის ადვოკატიც და როგორც ჩვენ გვეუბნებიან, დაკავებული უკრაინელი ქილერის ჩვენებაშიც მხოლოდ ქართველი „კრიმინალური ავტორიტეტია“ ნახსენები და არა – კონკრეტულად რომელიმე პირი.

ასეა თუ ისე, სოსო ჯოხაძის მკვლელობის გამო, შურისძიება ჯერჯერობით არ მომხდარა და როგორც უნდა მოინდომონ სამართალდამცავებმა, ამ ამბავს გაგრძელება, ადრე თუ გვიან, აუცილებლად ექნება.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 19 წელმისჯილი ნათობაძე, დღემდე სამარტოო საკანში იხდის სასჯელს და იქიდან გამოსვლას არც აპირებს. მას არ სურს „ზონაზე“ გადავიდეს და პატიმრების გარემოცვაში მოიხადოს სასჯელი, რადგან როგორც გარდაცვლილ სოსო ჯოხაძეს, ისე მის ძმა გიორგის ძალიან, ძალიან დიდი სამეგობრო ჰყავს.

პედოფილ მამაკაცს „ზონაზე“ ფეკალიები აჭამეს

ციხის „საქათმის“
შოკისმომგვრელი ქრონიკები

პატიმარი №0578

სამწუხაროდ, წელი ისე არ გავა, რომ პედოფილიის შესახებ მთელმა საქართველომ არ გაიგოს. წელი კი არა, ლამის ყოველ კვარტალში, ახალ-ახალი შემთხვევები ხდება და ყველაფერ ამას, თითქოს ბოლოც არ უჩანს. როცა ამ უმძიმესი დანაშაულის შესახებ იგებს ადამიანი, სურვილი უჩნდება, გაუქმებული დახვრეტის მუხლი ისევ ძალაში შევიდეს და ასეთი დანაშაულის ჩამდენი კედელთან დააყენოს. სხვათა შორის, კომუნისტების დროს, დახვრეტის შემდეგ, ტყვიის საფასურს დახვრეტილი პატიმრის ოჯახის წევრები იხდიდნენ. მათ ქვითარი შინ ფოსტით მისდიოდათ და ამით იმასაც იგებდნენ, რომ განაჩენი სისრულეში იყო მოყვანილი. იყო თუ არა ეს ცინიზმის მწვერვალი? – ერთი შეხედვით, კი, იყო, მაგრამ მეორე მხრივ... აბა, იმ 8 წლის გოგონას ახლობლებს ჰკითხეთ... აბა, გორში სასტიკად მოკლული 9 წლის გოგონას მშობლების აზრი იკითხეთ... რატომღაც გვგგონია, პეტიცია რომ შედგეს, რომელიც ანალოგიურ დანაშაულზე სწორედ დახვრეტას გულისხმობს, ხელს მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოაწერს.

ეჭვმიტანილ მამა-შვილს სოფელმა განაჩენი უკვე გამოუტანა – სახლი დაუწვა. ახლა ჯერი სასამართლოზეა. არსებობს იმის დიდი შანსი, რომ ორივეს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ, თუმცა სიმართლე გითხრათ, ეს მათთვის „ბაირამობა“ იქნება, რადგან სამუდამო პატიმრობამისჯილები სასჯელს სამარტოო საკანში იხდიან, მათ არავინ აწუხებთ და მართალია, ოთხ კედელში, მაგრამ მაინც მშვიდად ელიან სიკვდილს.

ჰო, ყოველ 20 წელიწადში ერთხელ, შეწყალებაზე თხოვნის გაგზავნის უფლება აქვთ. აი, ორივეს ასე, 15-20 წელი რომ მიუსაჯონ, გვერწმუნეთ, ეს პერიოდი მათ ნამდვილ ჯოჯოხეთად ექცევათ და ყველაფერ ამას პატიმრები უზრუნველყოფენ. რამდენიც უნდა უარყოს იუსტიციის სამინისტრომ, ყველამ იცის, რომ ციხეში პატიმრები ჯგუფებად არიან დაყოფილნი და უმდაბლეს საფეხურზე „ქათმები“ დგანან. სხვა პატიმრებისგან მათი გამორჩევა მარტივია – მკლავზე სპეციალური სამკლაურები აქვთ შებმული და ამით ხვდები, რომ შენს წინ „ქათამი“ დგას.

ისინი ცალკე ცხოვრობენ, ცალკე ჭამენ და სვამენ, მათზე შეხების უფლება არავის აქვს, რადგან უწმინდურებად ითვლებიან და თუ მაინცდამაინც საცემია, რაიმე ნივთით უნდა გაილახოს.

თუ ვინმეს „ქათმებთან“ ვნების გაქარვება სურს... ეს შეხებად არ ითვლება, ამისთვის „ზონაზე“ სხვა ტერმინია. „საქათმეში“ მოხვედრილთა უდიდესი ნაწილი სწორედ პედოფილიის გამოა გასამართლებული და სწორედ გისოსებს მიღმა იგებენ მოძალადეები, რას ნიშნავს გაუპატიურება და ძალადობა.

„საქათმეში“ არ არსებობს პატიმარი, რომელიც საკუთარი ნებით თუ არა, ძალით მაინც არ არის „გადაკუზული“.

2009 წელს, რუსთავის №17 დაწესებულებაში პატიმარი მიიყვანეს. გლდანის ციხეში მან იმდენი მოახერხა, რომ სასამართლომდე პერიოდი სამარტოო საკანში გაატარა, „ზონაზე“ მიყვანილს კი განაჩენი იღლიაში ჰქონდა ამოდებული და რაღა თქმა უნდა, „მაყურებლის“ წინაშეც წარსდგა. ცოდვა გამხელილი სჯობსო და, თუ „ზონაზე“ პედოფილიის მუხლით გასამართლებულები შედიოდნენ, ციხის ადმინისტრაცია „მაყურებელს“ ეუბნებოდა, რომ ასეთი პატიმარი შევიდა და პატიმართა შორის უპირველესიც მზად იყო, მისთვის შესაბამისი ადგილი მიეჩინა. ამით ადმინისტრაცია თავს იზღვევდა, რადგან თუ ასეთი მუხლით გასამართლებული „არესტანტი“ ჩვეულებრივ კამერაში შევიდოდა და შემდეგ გაირკვეოდა, რისთვის იხდიდა სასჯელს, შესაძლოა, „ზონაზე“ ბუნტი დაწყებულიყო და მტყუანი სწორედ ადმინისტრაცია გამოვიდოდა.

„ზონაზე“ მიყვანილ პატიმარს „მაყურებელმა“ მშვიდად შეხედა და გარკვევით უთხრა, განაჩენის ის ნაწილი წაიკითხე, სადაც შენს მიერ ჩადენილი ქმედებაა აღწერილიო. მან ჯერ გაქცევა დააპირა, მერე თქვა, ოფიცრებს დავუძახებო, მაგრამ როცა „მაყურებლების“ საკანთან ჩავლილი ოფიცრის ირონიული ღიმილი შენიშნა, განაჩენის ფურცვლა დაიწყო.

„ბრალდებულმა არასრულწლოვანი თანასოფლელი მოტყუებით წაიყვანა მთაში, სადაც მასზე იძალადა და გააუპატიურა. ბავშვს რამდენჯერმე წაუვიდა გული, თუმცა ბრალდებული მის მოსულიერებას ახერხებდა. სოფელში დაბრუნებამდე, დაკავებულმა მოახდინა ბავშვის ფსიქოლოგიური დამუშავება, შეაშინა, უთხრა, რომ თუ სადმე მოყვებოდა, მშობლებს დაუხოცავდა. საკუთარი სისასტიკის დასამტკიცებლად, მან ბავშვის თვალწინ, მაჯა დანით რამდენჯერმე გადაისერა. სოფელში შესვლამდე, ბრალდებულმა ბავშვი კიდევ ერთხელ გააუპატიურა“, – დაახლოებით, ასეთი რამ ეწერა განაჩენში.

სამწუხაროდ, ბავშვს შეეშინდა. 11 წლის მოზარდმა ვერ გაბედა შინ აღნიშნული ისტორიის მოყოლა, თუმცა მოუყვა მეგობარს და რჩევაც ჰკითხა. მეგობარი 14 წლის გახლდათ და სწორედ მან უთხრა თავის მშობლებს მომხდარის შესახებ, ისინი კი პირდაპირ პოლიციაში წავიდნენ. ეჭვმიტანილი მაშინვე დააკავეს, ბავშვზე ჩატარებულმა ექსპერტიზამ და ამოღებულმა მტკიცებულებებმა, ასი პროცენტით დაადასტურა, რომ მოძალადე სწორედ დაკავებული იყო.

ერთი ეგაა, სასამართლომ მას მხოლოდ 14 წელი მიუსაჯა, მეტი ვერ მოახერხა და ეს 14 წელიც, დანაშაულთა ერთობლიობით, თორემ ისე, 7 წელზე მეტს ვერ მიუსჯიდა (ასეთი ჰუმანური კანონი გვქონდა, ახლა პირდაპირ სამუდამოზე მსჯელობენ).

რაღა თქმა უნდა, პატიმარი მაშინვე „საქათმეში“ გაამწესეს, თუმცა ამით ყველაფერი არ დასრულებულა. „მაყურებელმა“ „საქათმის“ ბრიგადირი, ე.წ. მამალი დაიბარა. „მამალს“ ბრიგადირს პირობითად ეძახდნენ, რადგან მასთან ურთიერთობდნენ ადმინისტრაციაც და დანარჩენი პატიმრებიც. მაგალითად, თუ კანალიზაცია იყო გასაწმენდი, ეზო დასაგველი, ან რაიმე ბინძური სამუშაო გასაკეთებელი, ეტყოდი „მამალს“ და „ქათმებს“ ის გაანაწილებდა.

მოკლედ, დაიბარა „მამალი“ „მაყურებელმა“ და მკაცრად უთხრა, ეგ პედოფილი ისე უნდა გაასაზიზღროთ, ერთი კვირა სიარული უჭირდეს, „ზონის“ ადმინისტრაციასთან მე მოვაგვარებო. მანაც თავი დაუქნია და წავიდა.

მეორე დღეს, ყველა ინტერესით ელოდა, როდის გამოვიდოდა „საქათმიდან“ წინა დღით მიყვანილი მოძალადე, თუმცა ის არ ჩანდა. „მაყურებელმა“ ისევ „მამალს“ უხმო და მანაც ხელები გაშალა, შენ არ მითხარი, ისე ქენით, სიარული უჭირდეს, ჰოდა, მთელი ღამე „ვშვრებოდითო“. ერთი კვირა ვერა, მაგრამ მეხუთე დღეს გამოჩნდა მოძალადე. ნელა, ძალიან ნელა მოდიოდა და პატიმრებს ათვალიერებდა. მერე „მაყურებელს“ მოჰკრა თვალი და რაღაც ჩაიბურტყუნა. ეს „ზონის“ პირველ პატიმარს შეუმჩნეველი არ დარჩენილა, სანაგვე ურნას წამოავლო ხელი და პედოფილისკენ დაიძრა.

მიხვდა საწყალი, გაქცევას ვერ მოახერხებდა – ნაბიჯის გადადგმა უჭირდა, ამიტომ ყვირილი დაიწყო, მაგრამ ყურადღება არავინ მიაქცია. ურნა ჯერ თავში მოხვდა და რომ წაიქცა, შემდეგ ორჯერ კიდევ თავის მხარეს, ორჯერაც ნეკნებთან. თავიდან სისხლმა იფეთქა და სხვა „ქათმებმა“ ნახევრად გრძნობადაკარგული წაათრიეს.

„გაგექცევა სხვა ზონაზე ეგ კაცი“, – ღიმილით უთხრა „მაყურებელს“ პატიმარმა №0578-მა, მაგრამ იმან თავი გადააქნია, არსად წავა, რადგან იგივე ეტაპების გავლა მოუწევს ახლიდან, აუხსნიან კოლეგები და აქ დარჩებაო.

მართლაც, ახლადმოყვანილი პედოფილი არსად წასულა, ორი კვირის შემდეგ გამოვიდა გარეთ და სხვა „ქათმების“ დარად, მძიმე სამუშაოების შესრულება დაიწყო.

ერთ დღეს, პატიმარმა №0578-მა დაინახა, რომ „მაყურებლების“ საკანში არსებულ საპირფარეშოში ჩაის პაკეტებს ყრიდნენ. გაუკვირდა, გაიჭედებაო და მათაც ღიმილით უთხრეს, ჩვენც სწორედ ეგ გვინდა, რომ გაიჭედოსო. საპირფარეშო, მართლაც, გაიჭედა, თუმცა კამერები ისე დაიკეტა საღამოს შემოწმებაზე, „მაყურებლებს“ ხმა არ ამოუღიათ, დილით კი ხმაური ატყდა, „ქათამს“ დაუძახეთ, „პარაშა“ გაიჭედაო.

„სრულიად შემთხვევით“, საპირფარეშოს გასაწმენდად სწორედ ის მოძალადე მივიდა. აბა, იქ ინსტრუმენტებს ვინ მისცემდა და პლასტმასის ჭიქითა და შიშველი ხელებით დაიწყო განავლის ამოღება. გვერდით პლასტმასის ათლიტრიანი წყლის ჭურჭელი ედგა, თავი ჰქონდა გადაჭრილი და ამ მასას იმაში ასხამდა. როცა მთლიანად ამოწმინდა, საკნიდან გავიდა და „მაყურებელიც“ უკან გაჰყვა. ჯერ ზურგში მიარტყა ფეხი მსუბუქად და როცა განავლით სავსე ჭურჭელი დაუვარდა და ბეტონის იატაკზე დაესხა, შემდეგ წიხლი ჩააზილა ძალუმად და ფეკალიების მასაში მკერდით გააცურა. წაქცეულს ხმა არ ამოუღია, მაისური გაიხადა და რაც დაეღვარა, იმით აწმინდა.

„მიხვდა თავის ადგილს, შეეგუა. ჩვენ რომ მოსამართლეების იმედად ვიყოთ, ესენი ვერასოდეს გაიგებენ, რას გრძნობენ ბავშვები, როცა მათზე ძალადობენ. ახლა კიდევ ზუსტად იცის და თუ ავადმყოფი არ არის, გარეთ რომ გავა, აღარ იზამს. თუ იზამს, ამ ფეკალიების ჭამას აიძულებენ და დამიჯერე, შეაჭმევენ“, – აუხსნა „მაყურებელმა“ პატიმარ №0578-ს.

სამწუხაროდ, ხელისუფლების ცვლილებისა და საყოველთაო ამნისტიის მიღების შემდეგ, სასჯელის ერთი მესამედით შემცირება პედოფილსაც შეეხო და დღეს ის თავისუფლებაზეა. სხვათა შორის, „ზონის“ იმჟამინდელ „მაყურებელს“, რამდენიმე კვირის წინ, ევროპაში „კანონიერი ქურდის“ გვირგვინი დაადგეს.

სისხლიანი სპეცოპერაცია სოხუმში

ბათო ჯაფარიძე

ვინ იყვნენ სამართალდამცავები, რომლებიც პატიმრების შეარაღებულ აჯანყებას შეეწირნენ

სამწუხაროდ, ქართულ სკოლებში დღემდე სრულყოფილად არ ასწავლიან ბოლო წლების ისტორიას – როგორ და რის გამო დაიწყო ომი აფხაზეთში, სამაჩაბლოში, როგორ დავკარგეთ ქართული ტერიტორიები, რა ედო ამ ომს საფუძვლად, როგორი იყო რუსეთის როლი, როგორ დახუჭა თვალი მაშინ დასავლეთმა ბევრ რამეზე და ა.შ.

აფხაზეთში სიტუაცია ჯერ კიდევ 1980-იანი წლების ბოლოდან დაიძაბა, როდესაც 1989 წლის მარტში, აფხაზმა ნაციონალისტებმა ლიხნის კრებაზე აფხაზეთისთვის საბჭოთა რესპუბლიკის სტატუსის მინიჭება მოითხოვეს. ამ მოთხოვნის საფუძველი ის იყო, რომ ანალოგიური სტატუსით, აფხაზეთი 1925-1931 წლებში ანუ მაშინ სარგებლობდა, როდესაც საქართველოსთან „ერთიანობის ხელშეკრულება“ აკავშირებდა. ზემოთხსენებული დეკლარაცია ხელმოწერილ იქნა სოხუმის უნივერსისტეტის რექტორის მიერ, რასაც უნივერსიტეტის ეთნიკურად ქართულმა სტუდენტობამ საპროტესტო დემონსტრაციით უპასუხა, თუმცა ეს დემონსტრაცია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ აიკრძალა (?!). მიუხედავად ამისა, სტუდენტთა საპროტესტო აქცია გაგრძელდა და საბოლოოდ, აფხაზ ნაციონალისტთა ერთი ჯგუფის მხრიდან, თავდასხმის ობიექტი გახდა.

პირველი შეიარაღებული შეტაკება ქართულ და აფხაზურ მოსახლეობის ნაწილს შორის 1989 წლის 16-17 ივლისს, სოხუმში მოხდა. შეტაკებების გამომწვევი მიზეზი სოხუმში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა გახდა. შეტაკებების შედეგად, 22 დაიღუპა და 500-მდე მოქალაქე დაიჭრა. როგორც გარდაცვლილთა, ისე დაჭრილთა შორის, ქართველები ჭარბობდნენ.

80-იანი წლების მიწურულს კი სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ მოსახლეობიდან იარაღის ამოღება დაიწყეს. სამწუხაროდ, აქაც მოვტყუვდით – იარაღი, ძირითადად, ქართველი მოსახლეობისგან ამოიღეს და იმის შიშით, რომ აურაცხელი საბრძოლო მასალა ვინმეს არ ჩაეგდო ხელში, ის სოხუმში, სამართალდამცავთა აზრით, ყველაზე დაცულ ტერიტორიაზე მიიტანეს – სოხუმის წინასწარი დაკავების იზოლატორის ერთ-ერთ საკანში დაასაწყობეს. იმ დროისთვის, იზოლატორში, 73 რეციდივისტი ელოდებოდა ეტაპს. მათ შორის იყვნენ სიკვდილმისჯილებიც და განსაკუთრებით საშიში დამნაშავეებიც.

„1990 წლის 11 აგვისტოს, თბილისიდან სოხუმში გავფრინდით. არსებული დაძაბული ფონის მიუხედავად, აფხაზეთის ხელისუფლებამ ჩვენს ჩასვლაზე უარი არ თქვა და ამითაც მივხვდით, რომ იქ ჯოჯოხეთი ტრიალებდა. სოხუმში ჩასულებს, იმაზე მძიმე სიტუაცია დაგვხვდა, ვიდრე ველოდით“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

და მაინც, რა მოხდა აგვისტოს ცხელ დღეს? – წინასწარი დაკავების იზოლატორში შემოვლის დროს, ერთ-ერთი ზედამხედველის დოყლაპიობით ისარგებლეს დაკავებულებმა და ჯერ ერთი სართული, შემდეგ კი მთლიანად ციხე აიღეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, 73 რეციდივისტს 4 ზედამხედველი იცავდა, რაც ჩარჩოებში არ ჯდებოდა. პატიმრებმა მიაგნეს იმ საკანსაც, სადაც იარაღი ინახებოდა და მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა – ამ იარაღით არათუ ერთი საათი და ერთი დღე, ერთი წელიც თავისუფლად გაძლებდნენ. არ არის საუბარი პისტოლეტებსა და ავტომატებზე, პატიმრების ხელში რამდენიმე ტყვიამფრქვევი და „მუხა“ აღმოჩნდა. შემდეგ, ერთ-ერთ პატიმარს მოაფიქრდა და ყველას პირადი საქმეები გადაფურცლეს. სწორედ პირადი საქმეებიდან გაიგეს, ვინ თანამშრომლობდა სამართალდამცავებთან და ახლა 4 ზედამხედველის გარდა, მათ მძევლად დამატებით 6 პატიმარიც ჰყავდათ. ისინი ერთადერთი მიზეზით არ დახოცეს – ჩათვალეს, რომ ფარად გამოადგებოდათ.

„ყველაზე ცუდი ის იყო, რომ ადგილზე, დაკავებულთა ოჯახის წევრები მივიდნენ. იმის ნაცვლად, რომ მათ პატიმრებისთვის დანებება ეთხოვათ, ხმამაღლა უყვიროდნენ, რა ხდებოდა გარეთ, როგორ გადაადგილდებოდა მილიცია, რას გეგმავდა, რას აპირებდა... სამართალდამცავებმა სცადეს მათი მოშორება, მაგრამ პატიმრები დაიმუქრნენ, მძევლებს დავხოცავთო და ისინი დატოვეს. აჯანყებას ორი სიკვდილმისჯილი – პაველ პრუნჩაკი და მირონ ძიძაია ხელმძღვანელობდა. პრუნჩაკი იმიტომ დამამახსოვრდა, რომ მილიციის ორი თანამშრომლის მკვლელობისთვის დახვრეტა ჰქონდა მისჯილი, მირონს კი მთელი აფხაზეთი იცნობდა და ეშინოდა“, – იხსენებს ბატონი თენგიზი.

როცა მოსკოვში მომხდარის შესახებ შეიტყვეს და ისიც გაიგეს, რომ აჯანყებულების ხელში არარეალურად ბევრი იარაღი იყო, სპეცრეისით სოხუმში საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროების სპეცდანიშნულების რაზმები ჩამოვიდნენ. რა თქმა უნდა, პატიმრების ნათესავებმა აჯანყებულებს ესეც უთხრეს და მათ შესასვლელი კარი ჩახერგეს. თავიდან ციხის სახურავზე ვერტმფრენის დასმა მოითხოვეს, თუმცა გარედან მოატყუეს, სახურავი ვერ გაუძლებს, ჩამოიქცევა და თქვენც ქვეშ მოგიყოლებთო.

ამ დროს, მოსკოვიდან კიდევ ერთი მითითება მოვიდა – სპეცოპერაციის დროს, არც მძევალი უნდა მომკვდარიყო და არც – ძალოვანი, კრიმინალების დახოცვაზე მწვანე შუქი იყო ანთებული. თუ სპეცდანიშნულების რაზმი ამ პირობაზე პასუხისმგებლობას ვერ აიღებდა, უარი უნდა ეთქვა სპეცოპერაციის ჩატარებაზე. ამ პირობას შს სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი არ დათანხმდა, რაც შეეხება უშიშროების რაზმს...

„ვისაც რა უნდა, ის თქვას, მაგრამ უშიშროების სპეცრაზმის იმჟამინდელი ხელმძღვანელი ნამდვილი ლეგენდა იყო. ვიქტორ კარპუხინი არა მარტო მოწოდებით იყო ჯარისკაცი, არამედ, სერიოზული საბრძოლო გამოცდილებაც ჰქონდა, თავიც უჭრიდა. მან პირობა დადო, რომ არც რომელიმე მის ხელქვეითს დაუშავდებოდა რამე და არც – მძევლებს, თუმცა სპეცოპერაციის მოსამზადებლად ერთი დღე სჭირდებოდა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

პატიმრებმა ავტობუსი მოითხოვეს, რომელიც მათ ცენტრალურ მოედანზე გაიყვანდა, იქ კი ვერტმფრენი დაელოდებოდა. რა თქმა უნდა, ამ პირობას ყველა დათანხმდა და გადაწყდა, რომ ისინი სწორედ ციხის ეზოში უნდა აეყვანათ. კარპუხინი და მისი ბიჭები მთელი დღე იმ ავტობუსზე ვარჯიშობდნენ, რომელიც პატიმრებთან უნდა მიეყვანათ, თუმცა...

მეორე დღეს მოაყენეს ავტობუსი, რომლის ბორბლებთან ასაფეთქებელი იყო დამონტაჟებული. როგორც კი ავტობუსი დაიძვრებოდა, ასაფეთქებელს აამუშავებდნენ, საბურავები გასკდებოდა, მოულოდნელი აფეთქება პანიკას გამოიწვევდა და სპეცდანიშნულების რაზმი თავის საქმეს გააკეთებდა.

მოულოდნელად, ავტობუსის ნაცვლად, პატიმრებმა სამარშრუტო ტაქსის მიყვანა მოითხოვეს. უშიშროების ექსპერტებს ათი წუთი ჰქონდათ, ასაფეთქებლები იქ რომ დაემონტაჟებინათ. დაამონტაჟეს კიდეც და თან პატიმრებს გასძახეს, აქ 73 კაცი ნამდვილად ვერ ჩაეტევაო. მერეღა გაიგეს, პატიმრები ნაწილ-ნაწილ აპირებდნენ ქალაქის მოედნამდე მისვლას, რათა სამართალდამცავებს შტურმზე არ ეფიქრათ – ნაწილი წავიდოდა, ნაწილი დარჩებოდა, ერთმანეთთან კავშირი ექნებოდათ და მძევლებსაც ისე გადაანაწილებდნენ, რომ ყველა დაცული ყოფილიყო, თუმცა მანამდე რეციდივისტებმა „მარშუტკა“ საგულდაგულოდ შეამოწმეს და საბედნიეროდ, ასაფეთქებლები ვერ იპოვეს. ისინი გამოსვლას აგვიანებდნენ. რაღაც მანქანებით, ციხის უკანა კედელთან, ყველასთვის შეუმჩნევლად მისული უშიშრეობის სპეცრაზმის ნაწილი გასუსული იჯდა და აჯანყებულების გამოსვლას ელოდა. ამ ნაწილს შენობაში დარჩენილებზე უნდა მიეტანა შტურმი, მანქანაში მსხდომებს კი მეორე ნაწილი მოუვლიდა. აი, პატიმრებიც გამოჩდნენ და...

„სახეზე ავიფარე ხელი – ყველა მათგანს ნიღაბი ეკეთა და ყველას იარაღი ეჭირა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ვერ გაარჩევდი, ვინ იყო მძევალი და ვინ – აჯანყებული. ცხადი გახლდათ, მძევლებს იარაღი ტყვიის გარეშე ჰქონდათ, მაგრამ სად და როგორ უნდა გაგვერჩია, რომელში იყო ტყვია? კარპუხინის პროფესიონალიზმიც აქ გამოჩნდა. მან ბიჭებს უთხრა, რომ ბორბლების აფეთქების შემდეგ, ყველას გასანეიტრალებლად, რვა წამი ექნებოდათ. გესმით? – რვა წამში უნდა ჩატეულიყვნენ და 13 კაცი გაეთოკათ“, -გვიყვება ბატონი თენგიზი.

პატიმრები, მძევლებითურთ, „მარშუტკაში“ ჩასხდნენ, დაიძრნენ და აფეთქების ხმაც გაისმა. ნაწილმა შენობის შტურმი დაიწყო, კარპუხინი კი, დანარჩენებთან ერთად, მანქანას ეცა. მერე თქვა რაზმის მეთაურმა, დარწმუნებული ვიყავი, საჭესთან მძევალს არ დასვამდნენ, თავად დასხდებოდნენ, რათა გზაზე მძევალს ავარია არ მოეხდინაო. გათვლა აბსოლუტურად სწორი იყო და როგორც კი კარპუხინი მანქანას მივარდა, პირველი, რაც გააკეთა, მძღოლს შუბლში დამიზნებით ესროლა. ეს ქმედება ციხის ფანჯრიდანაც დაინახეს და მიხვდნენ, დანდობის იმედი არ უნდა ჰქონოდათ. არეულობისა და მოულოდნელობის ეფექტის მიუხედავად, მანქანაში მყოფებმა რამდენიმე გასროლა მაინც მოასწრეს და სპეცრაზმის ერთ-ერთი წევრი კისერში მძიმედ დაჭრეს, თუმცა ის გადარჩა.

მანქანაში იყვნენ პრუნჩაკი და ძიძაია, რომლებმაც იარაღის გამოყენება სცადეს და ისინი ადგილზე ჩაცხრილეს. ამ ორი პიროვნების გარდა, არ მომკვდარა არავინ, არც – პატიმრები, არც – მძევლები, არც – სპეცრაზმელები.

აფხაზებმა მხარდაჭერისთვის ქართველ კოლეგებსაც მადლობა გადაუხადეს, თუმცა მერე იყო ომი და ასი ათასობით იძულებით გადაადგილებული პირი, ომს შეწირული ათასობით სიცოცხლე და სამოთხე, რომელიც დღეს ოკუპირებულია.

საქართველოს სანაპირო დაცვა მრავალეროვნულ საზღვაო სწავლება – SEA BREEZE 2021-ში მონაწილეობს

მრავალეროვნული საზღვაო სწავლება – SEA BREEZE 2021 ოფიციალურად გაიხსნა. სწავლებაში, ქართული მხრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები მონაწილეობენ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტი საზღვაო წვრთნებში წელს ორი სადარაჯო ხომალდით ჩაერთვება. ხომალდების – „დიოსკურიასა“ და „ოჩამჩირეს“ ეკიპაჟების გარდა, SEA BREEZE 2021-ში, სანაპირო დაცვის აბორდაჟის ჯგუფებიც მიიღებენ მონაწილეობას.

SEA BREEZE 2021-ის საველე წვრთნებში საქართველოს თავდაცვის ძალების დასავლეთის სარდლობის III ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი ჩაერთვება. სპეციალური ოპერაციების ძალების მყვინთავთა რაზმი კი ოდესის პორტში საზღვაო მყვინთავთა წვრთნებში მიიღებს მონაწილეობას.

ასევე, SEA BREEZE 2021-ის სწავლების შტაბში შინაგან საქმეთა სამინისტროს სანაპირო დაცვისა და თავდაცვის სამინისტროს 5 ოფიცერი იქნება ჩართული.

აშშ-ის მე-6 ფლოტისა და უკრაინის საზღვაო ძალების ერთობლივი ორგანიზებით, სწავლება SEA BREEZE, შავ ზღვაში, 28 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით გაიმართება. სწავლება საზღვაო, სახმელეთო და საჰაერო კომპონენტებს მოიცავს, რომლის მიზანია, მონაწილე ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებს შორის ურთიერთქმედების დახვეწა და რეგიონული საზღვაო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათი ერთობლივი შესაძლებლობების გაზრდა. სწავლების ისტორიაში, SEA BREEZE 2021 ყველაზე მასშტაბურია. მასში ექვსი კონტინენტის 32 ქვეყნის 5000-მდე პერსონალი, 32 გემი, 40 საჰაერო ხომალდი და სპეციალური ოპერაციებისა და მყვინთავთა 18 ჯგუფი მონაწილეობს.

წელს, მრავალეროვნულ წვრთნებში, საქართველოს გარდა, 31 ქვეყანა მონაწილეობს. ეს ქვეყნებია: ავსტრალია, ალბანეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, ბრაზილია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, დანია, ეგვიპტე, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, იაპონია, ისრაელი, იტალია, კანადა, ლატვია, ლიტვა, მაროკო, მოლდოვა, ნორვეგია, პაკისტანი, პოლონეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, სენეგალი, ტუნისი, უკრაინა, შეერთებული შტატები და შვედეთი. სწავლებაში ჩართულია ნატოს მუდმივმოქმედი მეორე საზღვაო შენაერთი (SNMG2).

SEA BREEZE, შავ ზღვაში, 1997 წლიდან იმართება. ქართული მხარე სწავლებაში პირველივე წლიდან მონაწილეობს. გასულ წელს, სწავლებაში სანაპირო დაცვის სადარაჯო ხომალდი „დიოსკურია“ (P25) მონაწილეობდა.

შს მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე დარახველიძე „არასრულწლოვან და სრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მხარდაჭერა“ – პროექტის მმართველი კომიტეტის შემაჯამებელ შეხვედრაში მონაწილეობდა

თბილისში, ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის – „არასრულწლოვან და სრულწლოვან თავისუფლებააღკვეთილ პირთა მხარდაჭერა (JADES)“ – მმართველი კომიტეტის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიება შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ალექსანდრე დარახველიძემ გახსნა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა საკომიტეტო შეხვედრის მონაწილეებს. მმართველი კომიტეტის შემაჯამებელ შეხვედრას, ასევე, ესწრებოდა ევროპის საბჭოს საქართველოს ოფისის უფროსის მოადგილე, ვაჰაგ მურადიანი.

შეხვედრაზე მმართველი კომიტეტის წევრებმა, ბოლო წლების განმავლობაში, პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები შეაჯამეს და სამომავლო აქტივობები დაგეგმეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესების დაცვა და მათი მონაწილეობით მიმდინარე სამართალწარმოების ეფექტიანობის ამაღლებაა. არასრულწლოვნის ინტერესებზე მორგებული გარემოს შექმნისთვის, მუშაობა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობითა და ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, 2019 წლიდან ხორციელდება. პროექტის მიზანია, პოლიციელებისა და გამომძიებლების სათანადოდ მომზადება არასრულწლოვან მსხვერპლებსა და დამნაშავეებთან სამუშაოდ, ასევე, დროებითი მოთავსების დაწესებულებებში დაკავებულთა უკეთესი მართვის ხელშეწყობა ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

პოლიციამ დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ორი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული თ.კ. – ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებისა და წარსულში ნასამართლევი, 1986 წელს დაბადებული ა.მ. – დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 27 ივნისს, თ.კ.-მ, საბაგიროს თანამშრომელს, 1987 წელს დაბადებულ გ.ფ.-ს ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა და მეგობართან – ა.მ.-სთან ერთად, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა ორივე მათგანი, მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 376-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და დანაშაულის შეუტყობინებლობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრს ბრიტანულ ხომალდზე უმასპინძლეს

შინაგან საქმეთა მინისტრს, ვახტანგ გომელაურს, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საზღვაო ძალების ხომალდ HMS DEFENDER-ზე, საქართველოში ბრიტანეთის ელჩმა, მარკ კლეიტონმა და ხომალდის მეთაურმა, II რანგის კაპიტანმა ვინს ოუენმა უმასპინძლეს.

ხომალდის ოფიციალურ ტურში, საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ჯუანშერ ბურჭულაძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის უფროსი, გენერალ-მაიორი ნიკოლოზ შარაძე, სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, თორნიკე რიჟვაძე მონაწილეობდნენ.

მეთაურმა ვინს ოუენმა ქართული დელეგაციის წევრებს ხომალდი დაათვალიერებინა და მისი ტექნიკური მახასიათებლებისა და საზღვაო ოპერაციების შესახებ დეტალური პრეზენტაცია წარუდგინა.

დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს სამხედრო საზღვაო ფლოტის საჰაერო თავდაცვის თანამედროვე ტიპის გამანადგურებელი HMS DEFENDER, საქართველოში 26 ივნისს შემოვიდა. ხომალდის ვიზიტი მიზნად ისახავს თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში გაერთიანებულ სამეფოსა და საქართველოს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობის დემონსტრირებას.

საპორტო ვიზიტის ფარგლებში, ორი ქვეყნის საზღვაო დანაყოფების წარმომადგენლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ. ასევე, ბრიტანული ხომალდ HMS DEFENDER-ისა და საქართველოს სანაპირო დაცვის ხომალდის მონაწილეობით, შავ ზღვაში ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს ეკიპაჟებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებას და სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას.

ჩოხატაურის „ბახმარომ“ ორი კანადელი დაიმატა

გულწრფელად გეტყვით, არ ვიცოდით, თუ ჩოხატაურს საფეხბურთო კლუბი „ბახმარო“ ჰყავდა, მაგრამ აგერ, ეს გუნდი ეროვნულ ლიგა-3-ში თამაშობს, თუმცა სახარბიელო შედეგი არ აქვს. 12 ტურის შემდეგ, გურულები გათამაშების ცხრილში ბოლოს წინა ადგილზე არიან, მაგრამ ჩვენი ყურადღება მაინც მიიპყრეს.

სწორედ მე-12 ტურში, „ბახმაროს“ რიგებში ორმა ახალწვეულმა ითამაშა. კანადელები, ცენტრალური ნახევარმცველი ,დანტე ლაიტი და თავდამსხმელი, მარველეს დრამპსი „ბახმაროში“ ახლახან ჩაირიცხნენ და მართალია, ითამაშეს, მაგრამ მათი გუნდი მაინც დამარცხდა. შემდეგ ტურში, „ბახმარო“ 4 ივლისს, საკუთარ მოედანზე „არაგვს“ უმასპინძლებს. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ გუნდის სტადიონი... „ბორის პაიჭაძის“ სახელობისაა.

P.S. კანადაში წასვლა და იქ მუშაობა ნახევარი საქართველოს აუხდენელი ოცნებაა და კანადელების „ბახმაროში“ სათამაშოდ ჩამოსვლა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელია.

კვიპროსში თემური და მისი რაზმი დაიშალა

კვიპროსზე დასრულებულ საფეხბურთო ჩემპიონატში, ფამაგუსტას „ანორთოსისმა“ თასი მოიპოვა და ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თემურ ქეცბაიამ კლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა, თანაც პირობა მიიღო, ახალ ფეხბურთელებს მოუყვანენ. შეგახსენებთ, რომ ქართველმა სპეციალისტმა გუნდში ოთხი ჩვენებური მიიყვანა, მეკარე გიორგი ლორია, ნახევარმცველები მურთაზ დაუშვილი და თორნიკე ოქრიაშვილი, თავდამსხმელი გიორგი ქვილითაია. ქართვლები გუნდის ლიდერები გახდნენ და ეს ამბავი ჩვენთანაც ბევრს უხაროდა, რადგან უგუნდოდ მყოფი ოქრიაშვილი, „გენტის“ მუდმივ თადარიგში მყოფი ქვილითაია, გაურკვევლობაში, სადღაც „ჰალადასში“ მყოფი დაუშვილი გზაზე დააყენა. ჰოდა, დასრულდა სეზონი და სამივე ქართველი „ანორთოსისის“ კონკურენტ „აპოელში“ გადავიდა. საქართველოში ეს ნაბიჯი ბევრმა ვერ გაიგო და ფეხბურთელებსაც თავის სიმართლე აქვთ – ქვილითაიას სანაცვლოდ, ფულის გადახდა „ანორთოსისმა“ ვერ შეძლო და „აპოელმა“ მოახერხა, ოქრიაშვილს კონტრაქტი ამოეწურა და „აპოელმა“ მეტი ხელფასი შესთავაზა, იგივე მოხდა დაუშვილთან მიმართებაშიც და ოთხი ქართველიდან, ქეცბაიას რაზმს მხოლოდ ლორია შერჩა.

კვიპროსული მედია კი წერს, რომ ქეცბაია გუნდში ისევ რამდენიმე ქართველის მიყვანას აპირებს და ისევ ისეთების, რომლებიც უგუნდოდ არიან, ან გაურკვეველი მომავალი აქვთ და... მათ გზაზე დააყენებს, გუნდის ლიდერებად აქცევს, ფეხბურთის თამაშს გაახსენებს... მერე ჩვეულებრივად, ქართულად!...

სამი მედალი ევროპიდან

პოლონეთის ქალაქ პოზნანში, ნიჩბოსნობაში ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი გაიმართა. სასიხარულოა, რომ კარგი თაობა გვეზრდება. ქართველმა ახალგაზრდებმა სამი მედალი ჩამოიტანეს.

ოქრო და შესაბამისად, ევროპის ჩემპიონის ტიტული 19-წლამდელთა შორის, რუსთაველმა ალექსანდრე წივწივაძემ მოიპოვა. მან კილომეტრიან გაცურვაში ყველას აჯობა. იმავე წივწივაძემ, 200-მეტრიან დისტანციაზე ბრინჯაო მოიგო.

გოგონათა შორის, ოქროს მედლამდე 0.18 წამი დააკლდა მარიამ ქერდიკაშვილს. მას მხოლოდ უნგრელმა ნიჩბოსანმა აჯობა, თუმცა მარიამისთვის ეს პირველი დიდი შეჯიბრი იყო და შესაბამისად, ვერცხლის მედალი უდავოდ ძალიან კარგი შედეგია.

უცნაური გადაწყვეტილება – ბიელსას კვარაცხელია მცველად სურს

საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ შემტევი ნახევარმცველი, ხვიჩა კვარაცხელია კარიერას რომელიმე ტოპ-5-ის ლიგის გუნდში რომ გააგრძელებს, საიდუმლო არავისთვისაა. თუმცა ყველაზე დიდ ინტერესს ხვიჩას მიმართ ინგლისური „ლიდსი“ იჩენს და ახლა ამბობენ, რომ კლუბის არგენტინელ მწვრთნელს, მარსელო ბიელსას ქართველი... მცველად სურს.

„ბიელსა არასტანდარტული მწვრთნელია. მისი მცველები თავდასხმაში უფრო მეტ დროს ატარებენ, მუდმივად წინ და უკან დარბიან და სწორედ ამ პოზიციაზე სურს კვარაცხელიაც“, – წერს ბრიტანული მედია.

რამდენად გამოვა კვარაცხელიასგან მცველი, როცა ის მუდმივად მეტოქის კარზეა დაგეშილი და მისი საფირმო დრიბლინგი უმთავრესი კოზირია, ნამდვილად ვერ გეტყვით.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲖᲔ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲤᲐᲭᲐᲕᲐᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ

14 ივლისს, საქართველოს ოლიმპიური დელეგაცია ფიცს დადებს და ტოკიოში გაემგზავრება, სადაც 23 ივლისს, 32-ე ოლიმპიური თამაშები აიღებს სტარტს. ყველამ იცოდა, რომ ჩვენს სპორტსმენებს მხოლოდ 31 ლიცენზია ჰქონდათ და რადგან ტურნირები აღარ არის, მეტს არც ველოდით, თუმცა სწორედ გასულ უქმეებზე გაირკვა, რომ ოლიმპიადაზე, ტანმოვარჯიშე სალომე ფაჟავაც გამოვა. უდავოდ ნიჭიერი და დღეისთვის საუკეთესო ქართველი ტანმოვარჯიშე, ოლიმპიადაზე მსოფლიო ფედერაციის გადაწყვეტილებით მოხვდა.

იაპონიაში, მხატვრულ ტანვარჯიშში, მედლებისთვის 26 გოგონა იბრძოლებს, საიდანაც 16 – 2019 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგებით შეირჩა, 3 – მსოფლიო თასის შედეგებით, 5 – კონტინენტური ჩემპიონატების მიხედვით, თითო კი – მასპინძლობის უფლებითა და პერსონალური მიწვევით. სალომეს სწორედ მასპინძლის კვოტა ერგო, რადგანაც იაპონელებს ორი ლიცენზია უკვე ჰქონდათ. ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციამ მათი კუთვნილი კიდევ ერთი ადგილი კი თავისი შეხედულებისამებრ განკარგა და ის ფაჟავას ერგო.

ქართველ ოლიმპიელთა სია ასე გამოიყურება:
ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა);
ავთანდილ კენჭაძე (თავისუფალი ჭიდაობა, 74 კგ.);
ელიზბარ ოდიკაძე (თავისუფალი ჭიდაობა, 97 კგ.);
გენო პეტრიაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა, 125 კგ.);
რამაზ ზოიძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 67 კგ.);
ლაშა გობაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 87 კგ.);
გიორგი მელია (ბერძნულრომაული ჭიდაობა, 97 კგ.);
იაკობ ქაჯაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, 130 კგ.);
გიორგი მუჯარიძე (მძლეოსნობა, ბირთვის კვრა);
ლაშა ღულელაური (მძლეოსნობა, სამხტომი);
სახილ ალახვერდოვი (კრივი, 52 კგ.);
სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა, ხმალი);
ესკერხან მადიევი (კრივი, 69 კგ.);
გიორგი ხარაბაძე (კრივი, 75 კგ.);
შოთა მიშველიძე (ძალოსნობა, 61 კგ.);
გოგა ჩხეიძე (ძალოსნობა, 67 კგ.);
ანტონ პლესნოი (ძალოსნობა, 96 კგ.) ;
ლაშა ტალახაძე (ძალოსნობა, +109 კგ.);
გოგიტა არქანია (კარატე, კუმიტე +75 კგ.);
მარიამ იმნაძე (ცურვა, 100 მ. თავისუფალი სტილი);
დავით აბესაძე (ცურვა, 100 მ. თავისუფალი სტილი)
ნიკოლოზ ბასილაშვილი (ჩოგბურთი);
ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (ძიუდო, 52 კგ.);
ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო, 57 კგ.);
ლუხუმ ჩხვიმიანი (ძიუდო, 60 კგ.);
ვაჟა მარგველაშვილი (ძიუდო, 66 კგ.);
ლაშა შავდათუაშვილი (ძიუდო, 73 კგ.);
ტატო გრიგალაშვილი (ძიუდო, 81 კგ.);
ლაშა ბექაური (ძიუდო, 90 კგ.);
ვარლამ ლიპარტელიანი (ძიუდო, 100 კგ.);
გურამ თუშიშვილი (ძიუდო, +100 კგ.);
სალომე ფაჟავა (მხატვრული ტანვარჯიში).

რა ერქმევა ბათუმის არენას

შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიამ“ ტენდერი გამოაცხადა, რომლის მიხედვითაც, ბათუმის ახლადაშენებული სტადიონის სახელი გაყიდა. გამარჯვებულს შესაძლებლობა ექნება, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში, სტადიონს დაარქვას ნებისმიერი სახელი, თუმცა სახელწოდებაში აუცილებლად უნდა გამოიყენოს სიტყვა – არენა. რაც მთავარია, აუქციონში გამარჯვებულს მხოლოდ სახელისა და რეკლამის განთავსების უფლებები ექნება და არ იქნება შემხებლობაში სტადიონის მართვასთან.

ზოგადად, სტადიონის სახელის ფორმულირება მსოფლიოში არსებულ ანალოგიურ პრაქტიკას უნდა შეესაბამებოდეს და უნდა მოიცავდეს სიტყვას – არენა. საბოლოოდ, დასამტკიცებლად, სახელი სტადიონის მესაკუთრეს უნდა წარედგინოს.

აუქციონის საწყისი ფასი 1 მილიონი ლარი გახლდათ, საბოლოოდ კი სახელი ხუთი წლით – 8.75 მილიონად გაიყიდა ანუ წელიწადში, სტადიონის სახელის დარქმევის უფლება 1.75 მილიონად შეფასდა. ჯერჯერობით, უცნობია, რომელმა კომპანიამ მოიგო აუქციონი და რა ერქმევა არენას, მაგრამ როგორც კულუარებში ამბობენ, გამარჯვებული ერთ-ერთი საბუკმეიკერო კომპანიაა.

ᲔᲠᲗᲘ ᲒᲝᲚᲘᲪ ᲓᲐ ᲠᲝᲜᲐᲚᲓᲣ ᲬᲐᲕᲐ

პორტუგალიის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატს დაემშვიდობა. კონტინენტის მოქმედი ოქროს მედალოსნები, ტურნირს ბელგიელებმა გამოთიშეს, თუმცა საეჭვოა, ამ ყველაფერზე, პორტუგალიელთა 36 წლის კაპიტანსა და ლიდერს, კრიშტიანუ რონალდუს გული ძალიან დასწყდეს. ტურნირის მიმდინარეობისას, მან არაერთი რეკორდი დაამყარა.

პორტუგალიელმა, უნგრეთთან მატჩში, დუბლი გაიფორმა და 11 გოლით, ტურნირის ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (მან მიშელ პლატინის გადაუსწრო, რომლის ანგარიშზეც 9 გოლია). უნგრეთთან შეხვედრის შემდეგ, კრიშტიანუმ კიდევ 3 გოლის გატანა მოახერხა. ის ასევე არის ერთადერთი ფეხბურთელი, რომელმაც მეტოქის კარი ევროპის 5 სხვადასხვა ჩემპიონატზე აიღო (!!!). გარდა ამისა, რონალდუ გახდა ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე დუბლი გაიფორმა.

და მთავარი რეკორდი – საფრანგეთთან გაფორმებული დუბლით, პორტუგალიელი, ეროვნულ ნაკრებში გატანილი გოლების რაოდენობით (109), ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირს, ალი დაეის დაეწია. ახლა რონალდუს ერთი სანაკრებო გოლი აკლია, რათა ყველა დროის საუკეთესო სანაკრებო ბომბარდირი გახდეს. ის ამ გოლს აუცილებლად გაიტანს, შემდეგ კი სანაკრებო კარიერას დაასრულებს და მხოლოდ საკლუბო ამბებზე გადაერთვება.

Victoria's Secret „ანგელოზებზე“ უარს ამბობს

საცვლების პოპულარულმა ბრენდმა Victoria's Secret-მა უარი თქვა კომპანიის სავიზიტო ბარათად ქცეულ „ანგელოზებზე“. „ფრთებიანი გოგონების“ ნაცვლად, ახლა ბრენდს რეკლამას გაუწევენ „წარჩინებული“ ქალები - არა მხოლოდ მოდელები, არამედ, სპორტსმენები, აქტივისტები და სხვა პროფესიის წარმომადგენლები. კომპანიის ახალ სახეებს შორის არიან: 29 წლის „პლუს საიზის” მოდელი პალომა ელზესერი, 17 წლის ჩემპიონი ფრისტაილში ეილინ გუ, ასევე, გენდერული თანასწორობისთვის მებრძოლი აქტივისტი, 35 წლის მეგან რაპინო და ბრაზილიელი ტრანსმოდელი ვალენტინა სამპაიო. როგორც კომპანიაში აცხადებენ, დირექტორთა საბჭოში ყველა ადგილი, გარდა ერთისა, ქალებმა დაიკავეს და ბრენდის განვითარებაზე ახლა ეს ახალი გუნდი იზრუნებს.

მოცარტის მუსიკა ეპილეფსიით დაავადებულთათვის



მოცარტის სონატების მოსმენა სასარგებლოა მათთვის, რომლებსაც ეპილეფსიური შეტევები ემართებათ - ასეთ დასკვნებს აკეთებენ ჩეხი სწავლულები, მასარიკის უნივერსიტეტიდან. მკვლევარებმა შეადარეს ორი კლასიკური ნაწარმოების (მოცარტის სონატები და ჰაიდნის სიმფონია) ზემოქმედება ტვინის აქტიურობასა და ეპილეფსიაზე. აღმოჩნდა, რომ პაციენტებში, მოცარტის მუსიკის მოსმენისას, ეპილეფსიური აქტივობა 32%-ით იკლებდა, ჰაიდნის ნაწარმოები კი, პირიქით, ამ მაჩვენებელს 45%-ით ზრდიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ სიმფონიის მოსმენა დადებით გავლენას მხოლოდ ქალების ტვინის აქტივობაზე ახდენდა, მამაკაცებში კი ეს მუსიკალური ნაწარმოები ეპილეფსიური შეტევების აქტიურობას ზრდიდა.

ნაყინი შაშხით დაამზადეს



იმ დროს, როცა ორცხობილას ნამტვრევები, ხილისა და შოკოლადის ნაჭრები ნაყინში უკვე ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევა, ვერავინ წარმოიდგენს, რომ ამ ცივ დესერტში, შესაძლოა, ხორცის ნაჭრებიც აღმოჩნდეს. ოჯახური ფერმა Windy Brow, რომელიც ნიუ-ჯერსიში მდებარეობს, ნაყინს 2013 წლიდან ამზადებს, თუმცა მხოლოდ ორი წლის წინ გადაწყვიტეს, საკუთარი კლიენტები უჩვეულო ნაყინით გაეხარებინათ და მასში შაშხი დაამატეს. ხორცის ნაჭრები ცივ ტკბილეულში მეტად უხეშად რომ არ გამოჩნდეს, მას ჯერ წვავენ, ხოლო შემდეგ, შაქრისა და დარიჩინის ნარევში აკარამელიზებენ. ნაყინში ცაცხვის სიროპსაც უმატებენ, რათა შაშხის გემო გამოიკვეთოს. ამ უცნაური პირის ჩასატკბარუნებელის ღირებულება, მისი წონიდან გამომდინარე, 3-დან 6.5 დოლარამდეა. ნაყინის მწარმოებლები ითვალისწინებენ, რომ ხორციანი ნაყინის გემომ, შესაძლოა, დააფრთხოს კლიენტები, ამიტომ მოუწოდებენ, „ნუ იმსჯელებენ წიგნზე, მისი ყდის მიხედვით”.

შემოდგომაზე ინტერნეტი მთელ პლანეტას მოიცავს

SpaceX მზადაა, რომ სექტემბრისთვის, მთელი მსოფლიო თანამგზავრული ინტერნეტით დაფაროს. „როიტერის” ცნობით, კომპანია გეგმავს, მთელი დედამიწა მოიცვას Starlink-ის ქსელით, რომელიც 500-კილოგრამიანი თანამგზავრული აპარატებისგან შედგება. როცა ყველა – 1.8 ათასი თანამგზავრი მიაღწევს ორბიტას, ისინი უზრუნველყოფენ ინტერნეტით გლობალურ დაფარვას. გარდა ამისა, SpaceX-მა ტელესაკომუნიკაციო მომსახურებაზე ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოებისგან თანხმობა უნდა მიიღოს. კომპანიის დამფუძნებლის, ილონ მასკის თქმით, Starlink-ის მომსახურებაზე, 500 ათასი წინასწარი შეკვეთა უკვე მიიღო, ხოლო 11 ქვეყანაში ბეტა-ვერსია უკვე მუშაობს.

კონტრაცეპტივები ქალის ტვინს ცვლიან

გამოკვლევებმა, რაც ზალცბურგის უნივერსიტეტის სწავლულებმა ჩაატარეს, საინტერესო გვერდითი მოვლენა გამოავლინა, რასაც ჩასახვის საწინააღმდეგო აბები მანდილოსნის ტვინზე იწვევს. აღმოჩნდა, რომ ჰორმონალური კონტრაცეპტივების ერთ-ერთი სახეობის ხანგრძლივი მიღება თავის ტვინის იმ ნაწილში რუხ ნივთიერებას მნიშვნელოვნად ზრდის, რომელიც მეხსიერებასა და სახეების ამოცნობას უკავშირდება.

მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ეს ცვლილებები ტვინში რეალურად აუმჯობესებდა სახეების დამახსოვრების უნარს. გარდა ამისა, რუხი ნივთირების ზრდა მით უფრო მნიშვნელოვანი იყო, რაც უფრო ხანგრძლივად მოიხმარდა პაციენტი ამ კონტრაცეპტივს. აღსანიშნავია, რომ ასეთი ეფექტი აღინიშნებოდა მხოლოდ იმ მანდილოსნებში, რომლებიც ანტი-ანდროგენულ პროგესტინებზე - მამაკაცის ჰორმონების მოქმედების ჩამხშობზე დაფუძნებულ პრეპარატებს იღებდნენ. ანდროგენული პროგესტინების შემცველი კონტრაცეპტივებს კი საწინააღმდეგო ეფექტი ჰქონდა - რუხი ნივთიერების ზომა მცირდებოდა. იმის გამო, რომ გამოკვლევა მცირემასშტაბიანი იყო - მასში სულ 60 ქალი მონაწილეობდა, შედეგები მხოლოდ წინასწარი ხასიათისაა.

საკუთარ ქორწილში ძროხა ამშობიარა

ავსტრალიელმა ქალმა, ჯეს ლოუსმა საკუთარ ქორწილში ძროხა ამშობიარა. „დეილი მეილის“ ცნობით, საქორწინო ცერემონია „მწვანე კონტინენტზე“, ქალაქ პორტლენდის მახლობლად, ერთ-ერთ ფერმაში მიმდინარეობდა. ამ დროს, ერთ-ერთმა ძროხამ მშობიარობა დაიწყო, პატარძალმა მიატოვა ცერემინია და პირუტყვს დაეხმარა. საქორწილო კაბაში გამოწყობილი ლოუსს, შვიდი ფერმერი ეხმარებოდა. საბოლოოდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა, ქორწილიც გაგრძელდა, ახალდაბადებულ ხბოს კი Destiny (ბედისწერა) დაარქვეს.

ვაქცინირებულებს ქათმებს ჩუქნიან

ინდონეზიის ხელისუფლება ვაქცინაციის სტიმულირებისთვის, 45 წელს გადაცილებულ სოფლის მოსახლეობას ქათმებს ურიგებს. აქციამ - დედალი აცრის ნაცვლად - თავისი საქმე გააკეთა. ვაქცინაციის პუნქტებში აცრის მსურველთა რიგები დადგა. კუნძულ იავაზე, ამ წამოწყების ავტორები ადგილობრივი ადმინისტრაციები, პოლიცია და სამედიცინო ცენტრები არიან. საქმე ისაა, რომ უფროსი ასაკის მოსახლეობის უმრავლესობა თავს არიდებდა აცრას. ვრცელდებოდა დეზინფორმაცია ინტერნეტით და სოციალური ქსელებით, რომ ვაქცინა ვერ იცავს კორონავირუსისგან და სიკვდილისაც იწვევს. მას შემდეგ კი, რაც ხელისუფლებამ აცრის პოპულარიზებისთვის ცოცხალი ქათმების დარიგება მოიფიქრა, კუნძულ იავას მოსახლეობა სიამოვნებით დათანხმდა ვაქცინაციაზე.

ოფისში მხოლოდ მომღიმრებს უშვებენ

კომპანია Canon-მა ჩინეთში, ერთ-ერთ ოფისში, „ჭკვიანი” კამერები დაამონტაჟა, რომელიც შენობაში მხოლოდ გაღიმებულ თანამშრომლებს უშვებს. The Financial Times-ის ცნობით, კომპანიამ სამუშაო სივრცის მართვის სისტემა გასულ წელს დანერგა. კამერები მხოლოდ იმ თანამშრომლებს აძლევენ შენობაში შესვლისა და შეხვედრის ოთახების დაჯავშნის უფლებას, რომლებიც იღიმებიან. Canon-ის წარმომადგენლების თქმით, ამ ტექნოლოგიამ, პოსტ-პანდემიის პირობებში, ოფისი უფრო პოზიტიური უნდა გახადოს და თანამშრომლებს ბედნიერი განწყობა მთელი დღის განმავლობაში შეუნარჩუნოს. სიახლემ Dდასაქმებულთა არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია - ზოგი ამ ტექნოლოგიის დანერგას აპროტესტებს, რადგან აცხადებენ: „კომპანია არა მხოლოდ ჩვენი დროით, არამედ, ემოციებითაც მანიპულირებს”.

სლოკინს საწრუპით შეაჩერებთ

აშშ-ში სპეციალური საწრუპი შექმნეს, რომელიც შემთხვევათა 92%-ში, სლოკინს აჩერებს. ახალი მოწყობილობა სან-ანტონიოს უნივერსიტეტის სწავლულებმა შეიმუშავეს და წარმატებითაც გამოსცადეს. საწრუპის მწარმოებელი კომპანია Hicc Away-ია. კვლევებში 249 მოხალისე მონაწილეობდა, მათგან 92%-ს, საწრუპის გამოყენების შემდეგ, სლოკინი შეუჩერდა. სლოკინი დიაფრაგმის უნებლიე შეკუმშვაა. ყოველ შეკუმშვას მოსდევს ხმოვანი იოგების უეცარი დახურვა, რის შედეგადაც ჩნდება სლოკინისთვის დამახასიათებელი ხმა. საწრუპი ორი ხვრელისგან შედგება, დიდი - ზედა და პატარა - ქვედა. ამის გამო, წრუპვის დროს, ადამიანს ძლიერი ჩასუნთქვა უწევს, რაც დიაფრაგმალურ ნერვებს ასტიმულირებს. ამ ნერვების სხვა პროცესებით დაკავება მათ სლოკინის წარმოქმნაში უშლის ხელს.

დანიელები ხელოვნურ კუნძულს ააშენებენ

დანიის პარლამენტმა მხარი დაუჭირა ხელოვნური კუნძულის პროექტს, რომლის მშენებლობაც 3.3 მილიარდი დოლარი დაჯდება. ცნობილია, რომ სამუშაოები 2035 წელს უნდა დაიწყოს და წინასწარი გათვლებით, 2070 წელს დასრულდეს. ახალი კუნძულის მშენებლობას მოწინააღმდეგეებიც ჰყავს - მათი თქმით, სათანადოდ არ არის შესწავლილი, რა გავლენას მოახდენს ის ეკოლოგიაზე. ხელოვნური კუნძულის ფართობი 3 კვადრატული კილომეტრი იქნება. მან კოპენჰაგენი წყალდიდობისგან უნდა დაცვას, რომელსაც ზღვის დონის მატება იწვევს. კუნძულზე 35 ათასი ადამიანის დასახლებაც იგეგმება და მათთვის მეტროს ხაზიც გაკეთდება. ხელოვნური კუნძულის იდეა ყოფილ პრემიერს, რასმუსენს ეკუთვნის, რომელმაც პროექტი 2018 წელს წარადგინა.

კაკაო კიბოსგან დაგაზღვევთ

ეს გემრიელი სასმელი ლიდერია ანტიოქსიდანტების შემცველობით. კაკაო ადამიანს იცავს სიმსივნისა და ბევრი სხვა დაავადებისაგან, რაც საშიშია სიცოცხლისთვის. მეტიც, კაკაო ხელს უწყობს ახალგარზრდობისა და სილამაზის შენარჩუნებას - მასში არსებული ანტიქოსიდანტების რაოდენობა თითქმის ორჯერ აღემატება წითელ ღვინოში არსებულს. მიუხედავად იმისა, რომ კაკაოს ბევრი პროდუქტი შეიცავს, მაგალითად შოკოლადი, უმჯობესია, ამ ტკბილეულის ნაცვლად, ერთი ფინჯანი კაკაოს სასმელი მიირთვათ.

ამასთან, შოკოლადში დიდი რაოდენობითაა ნაჯერი ცხიმები, 40 გრამიან ფილაში - 8 გრამი, ერთ ფინჯან კაკაოში კი - სულ რაღაც 0.3 გრამი. თუ კაკაოს ფხვნილისგან მომზადებულ გემრიელ სასმელს ყოველდღიურად მიირთმევთ, ამით მნიშვნელოვნად შეინარჩუნებთ ორგანიზმში ქოლესტერინის დონეს და სისხლში ანტიოქსიდანტების შემცველობაც მოიმატებს. ფაქტია, რომ ისინი, რომლებიც ჩაისა და ყავაზე ხშირად, კაკაოს მიირთმევენ, ნაკლებად ავადდებიან კიბოთი - ეს კვლევების ბოლო შედეგებმაც აჩვენა.

უჩვეულო სასჯელი ღალატისთვის

ირანელ ქალს, რომელმაც ქმარს უღალატა, ორი წლით, მორგში გვამების გასუფთავება მიუსაჯეს. მანამდე კი, როზგით 74 დარყმის ატანა მოუწევს, ხოლო მის საყვარელს უფრო მეტის – 99-ის. მეტიც, მამაკაცს ქვეყნის მიყრუებულ რაიონში გადაასახლებენ. როგორც ცნობილია, მოღალატე ცოლი 35 წლისაა. სასჯელის ზომა მას თეირანის სასამართლომ გამოუტანა, რომელსაც ექსპერტებმა „გამაოგნებელი“ უწოდეს. საერთოდ, მუსულმანური ქვეყნები ცნობილია თავისი პრინციპული დამოკიდებულებით ღირსების საკითხების მიმართ, მაგრამ ქალის გაგზავნა მორგში, თანაც ორი წლით, მკვდრების დასაბანად, გასაკვირი გადაწყვეტილებაა ირანისთვისაც კი!

მთქნარება ტვინს ასტიმულირებს

დაღლილობის, მოწყენილობის ან ძილის მორევის დროს, თავის ტვინში შემაფერხებელი პროცესორები აღმგზნებ პროცესორებს ჯობნიან. ნელდება ორგანიზმის სხვა ფუნქციებიც, მათ შორის სუნთქვისაც - ის უფრო ნელი და ღრმა ხდება, რის შედეგადაც სისხლში ნახშირორჟანგის მჟავა და ნივთიერებათა ცვლის სხვა პროდუქტები გროვდება, რომლებიც ზემოქმედებენ თავის ტვინის სასუნთქ ცენტრზე, რაც იწვევს მთქნარებას. ღრმა და ნელი ჩასუნთქვისას, სისხლი ჟანგბადით მდიდრდება. მთქნარებაში მონაწილე პირის ღრუს, სახისა და კისრის კუნთები კი ხელს უწყობენ სისხლის მიწოდებას. ყოველივე ეს, აუმჯობესებს ტვინის უჯრედების სისხლით მომარაგებას და პროცესებსაც ცვლის. მთქნარებისას, ადამიანი იზმორება კიდეც, ამ დროს ხელ-ფეხი და ზურგის კუნთები იჭიმება, რაც ხელს უწყობს თავის ტვინის ქერქის ტონუსის შენარჩუნებას. სწორედ ამ პროცესს და რაც მთავარია, თავის ტვინის მუშაობას ააქტიურებს მთქნარება

უნდა აღინიშნოს, რომ მთქნარება სულაც არ არის ძილისა და მოწყენილობის თანამდევი პროცესი. ამ დროს არც დაღლილობასა და არც მოწყენილობაზე ლაპარკი არ იქნება სწორი. პირიქით, ორგანიზმის ყველა სისტემა მობილიზებულია. საქმე ის არის, რომ ძლიერი ემოციური დატვირთვისას და საფრთხისას ირთვება მექანიზმი, რომლის დროსაც ადამიანი სუნთქვას იკრავს - ნელა და ღრმად იწყებს სუნთქვას, რაც იწვევს მთქნარებას. ამ დროს სისხლი ჟანგბადით ივსება, ტვინს უკეთესად მიეწოდება და ორგანიზმიც უკვე საბრძოლო მზადყოფნაშია. თუ დავუკვირდებით, მთქნარების დროს, თავს უფრო მსუბუქად გრძნობს ადამიანი, ორგანიზმი დუნდება და სასიამოვნო შეგრძნება ეუფლება. ეს კი იმაზე მოწმობს, რომ მთქნარება ხელს უწყობს ემოციური სტრესის მოხსნასაც. საღამოს კი, დატვირთული დღის შემდეგ, ორგანიზმი მთქნარებით ცდილობს განტვირთვას და მშვიდი ძილისთვის ემზადება.



ადრე გაღვიძება დაავადებებს აგაცილებთ

იტალიელმა სწავლულებმა აღმოაჩინეს, რომ დილით ადრე ადგომა ამცირებს დიაბეტისა და გულსისხლძარღვთა დაავადებების განვითარების რისკს. მათი მოსაზრებით, ვინც გვიან ღამემდე არ იძინებს, დარღვეული აქვთ საჭმლის მონელებისა და იმუნური სისტემის მუშაობის პროცესები. ექსპერიმენტი ნეაპოლიტანის უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ჩაატარეს. შედეგად გაირკვა, რომ „ღამის მთევლებში", დიაბეტისა და გულის დაავადებების განვითარების რისკი ექვსჯერ უფრო მაღალია, ვიდრე ადრე დაძინებისა და ადრე ადგომის მოყვარულებში. „ტოროლების" 30% წუხდა გულსისხლძარღვთა დაავადებებზე, „ბუებში" კი ეს მაჩვენებელი 55%-ს აღწევდა.

ფეკალიების პირველი ბანკი შექმნეს

აშშ-ში საკმაოდ სწრაფად იძენს პოპულარობას ახალი მიმართულება ნაწლავების საშიში ინფექციების მკურნალობაში - ეს დონორული ფეკალიების „გადანერგვაა", რომელიც ნაწლავის ჯანმრთელ მიკროფლორას შეიცავს. ამიერიდან ექიმებიცა და პაციენტებიც შესაფერისი დონორული მასალის მოძებნას მსოფლიოში პირველი, დონორული ფეკალიების ბანკში შეძლებენ, რომელიც მასაჩუსეტსის შტატში მდებარეობს. ამ უჩვეულო ბანკის მუშაობაზე, რომელიც ფეკალიებს საგულდაგულოდ შეერჩეული და შემოწმებული ჯანმრთელი დონორებისგან იღებს (ისინი ერთ ჩაბარებაზე 40 დოლარს იხდიან), დასავლური მედიაც წერს.

ფეკალიების ბანკი შესაბამისი სამსახურების ნებართვით შეიქმნა, მაგრამ ტრანსპლანტაცია, ჯერჯერობით, „ექსპერიმენტული წამლის" რანგში ხდება. ეს ნიშნავს, რომ მკურნალმა ექიმმა უნდა მიიღოს ნებართვა თითოეული პაციენტისთვის, რომელსაც ნაწლავების ფლორა უნდა გადაუნერგოს. ბოლო წლების გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ ფეკალიების „გადანერგვა" ოპტიმალური მეთოდია საშიში ნაწლავური ინფექციების მკურნალობაში, რომელიც გამოწვეულია ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტული ბაქტერიით - Clostridium difficile. ეს ინფექცია ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტ ამერიკელს ემართება და მის გამო, წელიწადში 15 ათასი ადამიანი კვდება. დამტკიცებულია, რომ ნაწლავური მიკროფლორის ასეთი ავადმყოფებისთვის გადანერგვა ლამის სასწაულებს ახდენს - ქრონიკულად დაავადებულებს სულ რამდენიმე დღეში, ყოველგვარი გვერდითი ეფექტების გარეშე კურნავს.

ანტივაქსერ მშობლებს უჩივიან

იტალიაში, სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ორი მოზარდი აპირებს, სასამართლოში უჩივლოს საკუთარ მშობლებს, რომლებიც მათ უფლებას არ აძლევენ, კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა გაიკეთონ. 17 წლის ფლორენციელმა ბიჭმა ოჯახის ადვოკატების ასოციაციას მიმართა. მას მიაჩნია, რომ ვაქცინაცია საშუალებას მისცემს, მეგობრებთან ერთად უსაფრთხოდ გაერთოს და იმოგზაუროს, მაგრამ მშობლები აცრის წინააღმდეგნი არიან. არადა, მოზარდს არ აქვს უფლება, პრეპარატი დედ-მამის თანხმობის გარეშე მიიღოს. მეორე მსგავსი შემთხვევა ქალაქ არეცოში მოხდა. იქაური 16 წლის ბიჭსაც სურს, ვაქცინაციის უფლებს სასამართლოს ძალით მიიღოს.

გენიალურობის გენი აღმოაჩინეს



ლონდონის „კინს კოლეჯის" სპეციალისტებმა ადამიანში გენიალურობის გენს მიაკვლიეს. მკვლევარებზე დაყრდნობით, BBC იუწყება, რომ გენის მომატებული აქტიურობა, რომლის კოდური სახელწოდებაა NPTN და პასუხისმგებელია რუხი ნივთიერების სიმკვრივეზე, იწვევს ადამიანის ინტელექტუალური შესაძლებლობების ზრდას. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის გენიალურობა დამოკიდებულია ამ გენის მუშაობის განსაკუთრებულობაზე - აღნიშნავენ სწავლულები. მკვლევარები შეეცადნენ, ადამიანების ინტელექტუალურ პოტენციალს შორის განსხვავების მიზეზები გაერკვიათ. აღმოჩნდა, რომ ეს იმაზეა დამოკიდებული, როგორ ხდება ნეირონებს შორის ინფორმაციის გაცვლა. ამ უკანასკნელს კი NPTN-გენის აქტიურობა განაპირობებს. გენიალურობა, ფაქტობრივად, წარმოადგენს თავის ტვინის შესაძლებლობას კომუნიკაციისა და ინფორმაციის დამუშავების მიმართ - ამბობენ მეცნიერები.

ტომატის წვენი ფილტვის კიბოს წინააღმდეგ!

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ ანტიოქსიდანტები, რომლებიც ტომატშია, მნიშვნელოვნად ამცირებენ ფილტვის კიბოს რისკს, მათ შორის, მწეველებშიც კი. მედიკოსები გვთავაზობენ მარტივ რეცეპტს: თითეული ღერი სიგარეტის მოწევის შემდეგ, წყლით გაზავებული 1 ჭიქა ტომატის წვენი უნდა მივიღოთ. კვლევისას ამ კოქტეილს სწავლულები ლაბორატორიულ თაგვებს აძლევდნენ, რომლებიც სპეციალურად თამბაქოს კვამლით გაჯერებულ ოთახში ჰყავდათ. ექსპერიმენტის შედეგები დადებითი აღმოჩნდა. მართალია, ასეთი კლინიკური ცდები ჯერ არ ჩატარებულა, მაგრამ ექიმების აზრით, ეს „წამალი" ზიანს არც ერთ შემთხვევაში არ მოიტანს. მკვლევარებმა განსაკუთრებით აღნიშნეს, რომ ის, ვისაც ტომატის წვენი არ უყვარს, შეიძლება ტომატის სოუსით, პასტით ან ერთი კოვზი კეტჩუპით შეცვალოს დღეში. უფრო ადრე კი, ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყოველდღიურად, 1 ჭიქა ტომატის წვენი მკერდის კიბოს პროფილაქტიკას ეხმარება.

ადრე ადგომა მავნებელია

იაპონელმა მეცნიერებმა დაასკვნეს, რომ ადამიანებს, რომლებიც დილით ადრე იღვიძებენ, უფრო მმტად უვითარდებათ გულის დაავადებები, ვიდრე მათ, რომლებიც უფრო მეტხანს ნებივრობენ საწოლში. კიოტოს უნივერსიტეტის მკვლევარებმა ეს დასკვნები მას შემდეგ გააკეთეს, რაც ექსპერიმენტებით გაარკვიეს, რომ ადრე გაღვიძება და ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემა ურთიერთდამოკიდებულებაშია. სპეციალისტების კვლევებში 23-დან 90 წლამდე ასაკის, 4 ათასამდე მოხალისე მონაწილეობდა. ადამიანები, რომლებიც დილით ადრე იღვიძებენ, რათა სამსახურებში წავიდნენ ან ივარჯიშონ, გულის დაავადებების განვითარების რისკქვეშ იმყოფებიან. მათ ადვილად ემართებათ ინფარქტი და ჰიპერტონია. მედიკოსები ასეთ ხალხს ურჩევენ, სტრესის მოსახსნელად, დასაძინებლად ადრე დაწვნენ. მკვლევარები აცხადებენ, რომ ქრონიკული გამოუძინებლობა ზრდის დატვირთვას გულზე და ამის გამო, ისეთი დაავადებების განვითარების რისკი იზრდება, რამაც შესაძლოა, ლეტალური შედეგიც კი მოიტანოს.

ბიჭების გვიან ალაპარაკებაში „დამნაშავე“ იპოვეს

ცნობილია, რომ ბიჭებში მეტყველება უფრო გვიან ფორმირდება, ვიდრე მათ თანატოლ გოგონებში. მთლიანობაში, ბიჭებში ფსიქიკა მცირე ჩამორჩენით ვითარდება, რაც ნორმად ითვლება. სწორედ ამ საკითხით დაინტერესდნენ ნორვეგიელი სწავლულები. ჩატარებული კვლევების შედეგების მიხედვით, მათ დაასკვნეს, რომ ჰორმონი ტესტოსტერონი გავლენას ახდენს მეტყველების დაწყებაზე. კვლევებში 5 წლამდე ასაკის 10 ათასი ბავშვი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ ტესტოსტერონის მაღალი დონის არსებობისას, ტვინის განვითარება ფერხდებოდა. გარდა ამისა, ამ ჰორმონის მომატებული დონე, შესაძლოა, აუტიზმის ერთ-ერთი მიზეზიც იყოს. პრობლემის აქტუალობა, კვლევის ავტორთა განცხადებით, საკმაოდ მაღალია. ბოლო წლებში, ეს პათოლოგია საკმაოდ გახშირდა. კვლევებისას ექსპერტებმა დაამტკიცეს, რომ მეტყველების პრობლემების სიხშირე, 5 წლამდე ასაკის ბიჭებში ორჯერ მაღალია, ვიდრე მათივე თანატოლ გოგონებში.

ბავშვებს მეცადინეობა აუკრძალეს

იტალიაში, კუნძულ სარდინიაზე მდებარე ქალაქ მამოიადას სკოლის მოსწავლეებს ზაფხულში საშინაო დავალებების შესრულება აუკრძალეს. შესაბამისი ბრძანება ქალაქის მერმა, ლუჩანო ბარონემ გამოსცა. მისი დეკრეტი 15 პუნქტისგან შედგება და ეს დოკუმენტი ქალაქის ყველა სასწავლო დაწესებულებაში გაიგზავნა. არდადეგები აუცილებელია ყველა ბავშვისთვის. უკეთესია წეროთ, იკითხოთ, იცეკვოთ, ბევრი ისეორნოთ, ფილმები ნახოთ და განთიადს შეხვდეთ - მოუწოდებს ყველა მოსწავლეს ბარონე. მისი თქმით, ბავშვები ზედმეტად არიან გადატვირთულები და არდადეგებზე მაინც უნდა მივცეთ უფლება, „საკუთარი ცხოვრების შემოქმედნი” იყვნენ.

ყველაზე ძველი დაავადება გამოავლინეს

ტეხასის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შეძლეს იმის გარკვევა, რომელი ინფექციური დაავადებაა ყველაზე ძველი მსოფლიოში. კაცობრიობის ისტორიაში, ასეთად განსენიაზი (თითქმის ყველგან, კეთრის სახელით მოიხსენებენ) დაასახელეს. დღესდღეობით, მსოფლიოში ამ სენისგან, რომელიც აზიანებს ნერვულ სისტემას, კანის საფარსა და შინაგან ორგანოებს, ასობით ათასი ადამიანი იტანჯება. თუმცა აღმოჩნდა, რომ ამ ინფექციით, ჩვენი წინაპრები, დაახლოებით, 10 მილიონი წლის წინ დასნებოვნდნენ. ეს იმ დროს მოხდა, როცა ადამიანები აფრიკას ტოვებდნენ და ჩვენი პლანეტის სხვადასხვა ადგილებში სახლდებოდნენ. მას შემდეგ, რაც წელს, ტეხასელმა მკვლევარებმა ამ დაავადების ახალი ბაქტერია Mycobacterium lepromatosis აღმოაჩინეს, მისი ორ ათეულზე მეტი გენი შეისწავლეს. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ რამდენიმე მილიონი წლის განმავლობაშიც კი, გენების დონეზე, კეთრი უცვლელია. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კეთრის ბაქტერიებს ადამიანის ორგანიზმის გარეთ არსებობა არ შეუძლიათ. ბაქტერიის ოთხასზე მეტ შტამს იდენტური გენომი აქვთ, რაც იმის თქმის საშუალებას იძლევა, რომ ადამიანის შორეული წინაპრები ამ დაავადებით ინფიცირდებოდნენ.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.